პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

კვირა 29 ნოემბერი 1936 წ. № 273 (4775)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ՑԵՂԲԱՅՐԱԿԱՆ ՎՈՂՋՈՒՅՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻՆ

ძმური სალამი საბჭოთა სომხეთს!

„საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“

დაუვიწყარ ისტორიულ დღეებს განიცდის საბჭოთა კავშირი. საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობა შეიკრიბა, რათა დაამტკიცოს დიადი სტალინური კონსტიტუცია — გამარჯვებული სოციალისტური წყობილების ქარტია.

სოციალიზმის გენიალურმა შემოქმედმა, ავიდა რა კრემლის სასახლის ტრიბუნაზე, თითქოს უკანასკნელი ხარაჩოები მოხსნა იმ დიდებულ მშენებლობას, რომელიც დამთავრდა სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის დროიდან ჩვენს დღეებამდე გავლილ პერიოდში. მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგა ტიტანური, უძლეველი, შეურყეველი, უზარმაზარი შენობა. სტალინური კონსტიტუცია არის ის, რაც მოპოვებულია, მიღწეულია მკაცრ კლასობრივ ბრძოლებში, გმირულ სტალინურ ხუთწლედებში, გამოჭედილია და სამუდამოდ განმტკიცებულია.

შექმნილია სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც არ იცის, რა არის ნაციონალური შუღლი, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, რომელმაც ძირფესვიანად აღმოფხვრა კაპიტალისტური წყობილების საფუძვლები — საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება. ამ ახალ საზოგადოებაში ადამიანმა პირველად იგრძნო, თუ რა არის ხალხთა ნამდვილი ძმობა, ნამდვილი დემოკრატია, ნამდვილი ჰუმანიზმი. ადამიანმა პირველად შეიცნო ნამდვილად სიცოცხლის ფასი, შემოქმედებითი მუშაობის სიხარული ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ და არა ანგარებით აღსავსე ექსპლოატატორთა ცალკეული ჯგუფების სასარგებლოდ. ამ ახალი სახელმწიფოსათვის უცხოა კაპიტალისტური ქვეყნების დაპყრობითი მიზნები. მშვიდობიანობისადმი მისწრაფება, ქმედი ბრძოლა მშვიდობიანობისათვის — ასეთია სული სტალინური კონსტიტუციისა, რომელმაც კაცობრიობის ნამდვილი აღორძინების ბრწყინვალე ჰორიზონტები გადაშალა.

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობა სტალინურ კონსტიტუციას ღებულობს იმ მომენტში, როცა ფაშიზმი — კაპიტალისტური დიქტატურის ეს უაღრესად რეაქციული, უაღრესად მხეცური ფორმა — სასოწარკვეთილებისაგან გაცოფებული უკანასკნელ იმედს ომზე ამყარებს. ომის გამჩაღებელნი ღრჯუცხრომელ აქტივობას ანვითარებენ. დენთის საწყობთან ანთებული ჩირაღდნით მდგარი მხეცი — ადამიანის სახეს აგრესორთა კონკრეტული პოლიტიკის სისხლი და ხორცი ესხმება.

საერთაშორისო ვითარება ისეა გავარვარებული, როგორც არასოდეს. გერმანელი და იტალიელი ინტერვენტები ჰკვლისა და ნგრევას სთესენ ესპანეთის მინდვრებზე, ცდილობენ რა ომის ახალ კერად აქციონ პირენეი. იაპონელი იმპერიალისტები ჩინეთის ცოცხალ სხეულს ნაწილ-ნაწილად ჰგლეჯენ. ხელთ იგდეს რა მანჯურია, ისინი ამჟამად აწარმოებენ ომს შიდა-მონღოლეთში, სთესენ პროვოკაციას, ჰქმნიან „ინციდენტებს“ მანჯურია-საბჭოთა კავშირის საზღვარზე.

გერმანიის ფაშიზმი, რომელიც ქაღალდის ნაფლეთებად აქცევს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს, ინტრიგების ქსელს აბამს ბალკანეთში, ბალტიკის ქვეყნებში, ცენტრალურ ევროპაში, მსოფლიოს ყველა კუთხეში და აგრესიულ სახელმწიფოთა ბლოკს აწყობს. შექმნილია იაპონია-გერმანიის სამხედრო ანტანტა, რომლის მახვილიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ინგლისის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

იაპონია-გერმანიის სამხედრო შეთანხმება სრულიადაც არ მოწმობს მის მონაწილეთა ძალის ზრდას. პირიქით, იგი გვიჩვენებს მათს იზოლირებას, მათს შინაგან სისუსტეს. ეკონომიური და ფინანსური სიძნელენი, სოციალურ რყევათა მუქარა, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება — აი რა ახასიათებს ამ ქვეყნების საშინაო მდგომარეობას. დადებული შეთანხმება მოწმობს აგრეთვე, რომ ფაშისტური მგლები ვერ სწევენ რისკს ცალ-ცალკე დაესხან თავს საბჭოთა კავშირს.

თავგასული ავანტიურისტები, გაბოროტებულნი უმწეობით, რომ დაჰფარონ სიმართლე სოციალიზმის ქვეყნის შესახებ, ყველაფერს სასწორზე სდებენ, გონებისა და საქმის ვითარების ფხიზელი გაგების უკანასკნელ ნატამალსაც ჰკარგავენ. რას არ წამოანთხევს ხოლმე გერმანიის, იტალიის, იაპონიის, პოლონეთისა და სხვათა ფაშისტური პრესა საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ. მაგრამ ეს საშუალებანი მიზანს ვერ მიაღწევენ, — „მოტყუებით შორს ვერ წახვალ“... ისინი სულ უფრო-დაუფრო ხშირად ემსგავსებიან შჩედრინის იმ თავნება ადამიანებს, რომელთა შესახებ ასეთი მომაკვდინებელი ირონიით, ასეთი მოსწრებული გონებამახვილობით ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი.

მათ, ამ ფაშისტ თავნება ადამიანებს, შჩედრინის იმ ჩინოვნიკის მსგავსად, რომელიც „ამერიკის დახურვაზე“ ოცნებობდა, სურთ დახურონ საბჭოთა კავშირიც, მოსპონ იგი, დაუმალონ თვალთაგან მთელ მსოფლიოს.

„ამ ვაჟბატონებს საბჭოთა კავშირი უკვე დიდიხანია თვალში ეჩხირებათ. ცხრამეტი წელიწადია დგას საბჭოთა კავშირი, როგორც შუქურა, რომელიც განთავისუფლების სულით მსჭვალავს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს და ცოფს ჰგვრის მუშათა კლასის მტრებს. და იგი, ეს საბჭოთა კავშირი, თურმე, არა თუ მხოლოდ არსებობს, არამედ იზრდება კიდეც, და არა თუ იზრდება, არამედ წარმატებებსაც აღწევს, და არა თუ წარმატებებს აღწევს, არამედ ახალი კონსტიტუციის პროექტსაც კი სთხზავს, პროექტს, რომელიც აღაგზნებს ადამიანთა გონებას, ახალ იმედებს უნერგავს დაჩაგრულ კლასებს (**ტაში**). როგორ არ უნდა აღშფოთდნენ ამის შემდეგ ვაჟბატონები გერმანული ოფიციოზიდან. რა ქვეყანაა ეს ქვეყანა, ჰგოდებენ ისინი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი (**საერთო სიცილი**). და თუ იგი 1917 წლის ოქტომბერში აღმოაჩინეს, რატომ არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს?“

უმწეოა ფაშისტების გაბოროტება! როგორც სიცრუისა და ცილისწამების კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კვამლად და მტვრად იქცევა საბჭოთა სინამდვილის ყოვლისმძლე ფაქტების წინაშე, სწორედ ასევე კვამლად და მტვრად იქცევა ფაშისტი აგრესორების მტაცებლური ავანტიურისტული გეგმები, მიმართული სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ.

ჯიუტი ფაქტები — საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერება, ჩვენი პოტენციური სამხედრო შესაძლებლობანი, რომელნიც გეგმიანი მეურნეობიდან გამომდინარეობენ, სსრ კავშირის ხალხთა შემჭიდროება და ერთიანობა, მათი მზადყოფნა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვან თავისი სოციალისტური სამშობლო — დამაჯერებლად გვეუბნებიან იმას, რომ ძალთა თანაფარდობა არ არის ფაშისტური აგრესორების სასარგებლო, რომ საბჭოთა კავშირის „დახურვა“ არ ძალუძთ ომის გამჩაღებლებს. „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“ — ეს სარკასტული სიტყვა ამხანაგ სტალინის მოხსენებაში მრისხანე გაფრთხილებაა ყველა თავგასული აგრესორისათვის.

„საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“ — ეს იცის დიდი საბჭოთა კავშირის ყოველმა მოქალაქემ. იცის, თუ რა დიდია და მძლავრია სულით, ვაწვრთნით, ტექნიკით, საბრძოლო მომზადებით მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელიც გაანადგურებს საბჭოთა კავშირზე თავდამსხმელ ყოველ მტერს, და გაანადგურებს უშუალოდ მტრის ტერიტორიაზე. ეს მზადყოფნა საუცხოოდ იყო დემონსტრირებული ყრილობაზე, როცა საბჭოთა მიწა-წყლის პატრონის მისასალმებლად მივიდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ყველა გვარეობის ჯართა დელეგაცია.

საბჭოთა კავშირი, ახორციელებს რა განუხრელად თავის სამშვიდობო პოლიტიკას, თანამშრომლობს ყველა იმ სახელმწიფოსთან, რომლებიც ნამდვილად არიან დაინტერესებული მშვიდობიანობის შენარჩუნებით. იგი მზად არის მხარი დაუჭიროს კოლექტიური უშიშროების სისტემის განმტკიცებისაკენ მიმართულ ყველა ღონისძიებას, გამოდის რა მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებიდან, რომლებისთვისაც ომს მოაქვს აურაცხელი უბედურება, სილატაკე, ნგრევა და შიმშილი.

მაგრამ სცდებიან აგრესორები და ისინი, ვინც ეძებს ილუზორულ ხსნას მათთან შეთანხმების გზით, სცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირს არ ძალუძს თვითონ მოიგერიოს ყოველი მტრის ყოველგვარი თავდასხმა თავის საზღვრებზე. ყოველგვარი თავდასხმა საბჭოთა კავშირზე დამთავრდება კატასტროფით იმათთვის, ვინც გაბედავს ხელი აღმართოს სსრ კავშირის თავისუფალ მოქალაქეთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს წინააღმდეგ.

სტალინური კონსტიტუცია — საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველობისა და შეურყეველი ძლიერების ეს ცოცხალი ასახვა — ამის დაურღვეველი საბუთია. საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში ჩაწერილი მონაპოვარნი საუკუნოდაა განმტკიცებული. მათ ვერავითარი ძალა მსოფლიოში ვერ მოსპობს. რაც არ უნდა ცოფიანობდნენ საბჭოთა კავშირის მტრები — „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“. (საქდესი)

„პრავდის“ მოწინავე, 28 XI

საქდესის გასწორება

„კომუნისტის“ 26 ნოემბრის ნომერში მოთავსებულ ამხ. მ. ი. კალინინის შესავალ სიტყვაში, რომელიც მან საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის გახსნაზე წარმოსთქვა, მესამე სვეტის პირველ აბზაცში სწერია: **„დასრულებული** გამოხატულება ჰპოვა“, უნდა იყოს: **„კანონიერი** გამოხატულება ჰპოვა“. (საქდესი).

○

„პრავდის“ 27 ნოემბრის მოწინავეში, რომელიც დაიბეჭდა „კომუნისტის“ 28 ნოემბრის ნომერში, პირველი სვეტის მეხუთე აბზაცში სწერია **„მემარჯვენე კლასები“**, უნდა იყოს: **„მმართველი კლასები“** (საქდესი).

საბჭოების საგანგებო VIII ყრილობა

ამხ. დ. ე. სულიმოვის სიტყვა

(რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე).

ამხანაგებო, გუშინ ყრილობამ მოისმინა ამხანაგ სტალინის შესანიშნავი, თავისი განსაკუთრებული სიმარტივითა და დამაჯერებლობით ბრწყინვალე მოხსენება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სტალინური კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

ჩვენი რუსეთის ფედერაციის ხალხები ყველა მოძმე რესპუბლიკასთან ერთად განიცდიან იმ განსაკუთრებული წარმატებებით გამოწვეული უდიდესი სიხარულის გრძნობას, სიამაყის გრძნობას, რომელთაც მოასწავებს ახალი სტალინური კონსტიტუცია, ეს კონსტიტუცია აგვირგვინებს ამ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ზედმეტია ლაპარაკი რუსი ხალხის უდიდეს როლზე ამ წარმატებებში, რუსეთის მრავალეროვანი ფედერაციის როლსა და მნიშვნელობაზე საბჭოთა კავშირის სისტემაში. რსფსრ-ეს მნიშვნელობა განისაზღვრება არა მისი უზარმაზარი სივრცეებით (როგორც იცით, ჩვენი ფედერაცია გადაჭიმულია ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე და ყინულოვანი ოკეანიდან შავ ზღვამდე) და, ასე გასინჯეთ, არც რსფსრ მოსახლეობის დიდი რაოდენობით, რომელიც საბჭოთა კავშირის ორ მესამედზე მეტს შეადგენს, არამედ იმ განსაკუთრებული როლით, რომელიც რუსეთის მუშათა კლასმა შეასრულა თვითმპყრობელობის დამხობაში, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის განთავისუფლებაში და სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებაში, პროლეტარული რევოლუციის შეუნელებელი ძლევამოსილი მოძრაობის განვითარებაში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ურყევი, ძლიერი კავშირის განმტკიცებასა და შექმნაში. და ტყუილად კი არ ამბობდა ამხანაგი სტალინი, რომ რუსული ენა პროლეტარული რევოლუციის ენაა. საბჭოთა კავშირის ძალა და სიდიადე ხალხთა დიად თანამეგობრობაშია. ხალხთა ამ თანამეგობრობაში რუსი ხალხი ასრულებდა და ასრულებს წამყვან როლს (**ტაში**). **ხმები:** „მართალია“.

მე აქ არ დავიწყებ ლაპარაკს იმაზე, თუ რად იქცა ამჟამად რსფსრ.

ეს ნიშნავს, გაიმეორო ყველასათვის ცნობილი ფაქტები იმის შესახებ, რომ ჩვენ გვაქვს მძლავრი მოწინავე მრეწველობა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ამხანაგ სტალინის ინიციატივით შექმნა საბჭოთა კავშირში ქვანახშირისა და მეტალურგიის მეორე ბაზა ჩვენი ფედერაციის აღმოსავლეთ ნაწილში უდიდესი ახალი ცენტრებით — მაგნიტოგორსკით, სტალინსკით და სხვ. ეს ნიშნავს, გაიმეორო ყველა ჩვენი ქალაქისა და მათი კეთილმოწყობის ზრდის ციფრები, გაიმეორო, რომ ჩვენი ქვეყანა გახდა წერაკითხვის მცოდნე, რომ ჩვენს სკოლებში სწავლობს 19 მილიონზე მეტი ბავშვი, ნაცვლად 5,6 მილიონისა, რომლებიც 1914 წ. სწავლობდნენ, რომ ჩვენ განვახორციელეთ საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება და წარმატებით ვახორციელებთ საყოველთაო შვიდწლიან სწავლებას. ეს ნიშნავს, გაიმეორო, რომ საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ სოფლად მეტისმეტად ჩამორჩენილი ინდივიდუალური წვრილი გლეხური მეურნეობა დაბალი შრომის ნაყოფიერებით გადააქცია მსოფლიოში ყველაზე მსხვილ მოწინავე, მანქანური ტექნიკით შეიარაღებულ, სოციალისტურ საკოლმეურნეო სასოფლო მეურნეობად. ეს ნიშნავს, ილაპარაკო ჩვენი ქვეყნის ახალ ადამიანებზე, ახალ ბედნიერ, გაბედულ, წინმიმავალ ადამიანზე, რომელიც წარმოიშვა და აღზარდა ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც აღზარდა და გამოაწრთო მთელი კაცობრიობის საუკეთესო ადამიანმა, ჩვენმა საყვარელმა მშობლიურმა ამხანაგმა სტალინმა (**ტაში**).

ჩვენი რევოლუციის უდიდესი მონაპოვარი იმაში მდგომარეობს, რომ მან პრინციპულად სხვა საფუძველზე ააგო საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხის ურთიერთობა. ყველა ერის ძმობა და თანასწორობა, ხალხთა თანამეგობრობა და ურთიერთდახმარება — აი რა დაუპირისპირა ჩვენმა პარტიამ თვითმპყრობელობის კოლონიურ მძარცველურ პოლიტიკას.

ამჟამად ჩვენი კონსტიტუცია აჯამებს ჩვენი პარტიის ამ ლენინურ სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას. აქ შედეგი მართლაც ბრწყინვალეა, მას ჩვენი მოსისხლე მტრებიც კი ვერ უარჰყოფენ.

საკავშირო კონსტიტუციის მე-123 მუხლი ამბობს:

„სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა და რასისა, სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში ურყევ კანონს წარმოადგენს“.

ჩვენი კონსტიტუციის ამ მუხლის მთელი ისტორიული მნიშვნელობა იმაში კი არაა, რომ იგი ამას აცხადებს, არამედ იმაში, რომ ჩვენ ამას საბჭოთა კავშირში უკვე მივაღწიეთ, რომ ეს უკვე ბედნიერ სასიხარულო სინამდვილედ იქცა. საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხები, რსფს რესპუბლიკაში შემავალი ხალხები, მართლაც თანასწორუფლებიანნი არიან და შეადგენენ ნამდვილად ერთ მშრომელ ოჯახს, რომელიც სოციალიზმს აშენებს. თათართა, ბაშკირეთის, ჩუვაშიის, ყაბარდო-ბალყარიის და ყველა სხვა ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ოლქებმა თავის კულტურულ და სამეურნეო განვითარებაში მიაღწიეს ისეთ დონეს, როცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ განსაკუთრებით მოკლე ხანში გაიარეს სამეურნეო და კულტურული აღორძინების უდიდესი გზა და დაეწივნენ რუსეთის ძირითად რაიონებსა და ოლქებს. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ თათართა რესპუბლიკა, ბაშკირეთი, ყაბარდო-ბალყარია პირველთაგანი არიან, რომელნიც პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვეს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით (**ტაში**).

ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ზრდა, მათი უმაგალითო წარმატებანი წარმოადგენენ ლენინ-სტალინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ნამდვილ გამარჯვებას.

რუსის ხალხი, რსფსრ ყველა ხალხი უდიდესი კმაყოფილებითა და სიამაყის გრძნობით ხვდებიან ახალი მოკავშირე რესპუბლიკების შექმნას და ყაზახ და ყირგიზ ხალხებს უსურვებენ შემდგომ და კიდევ უფრო მეტ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში (**ტაში**).

საკავშირო კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვამ გამოიწვია ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელთა ყველა ფენის პოლიტიკური აქტივობის უდიდესი აღმავლობა და გადაიქცა მთელი საბჭოთა ხალხის ნებისყოფის ერთიანობის სოციალიზმის საქმისადმი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ხალხთა მასების ერთგულების და იმისადმი უსაზღვრო სიყვარულის უფართოეს დემონსტრაციად, ვინც ასახიერებს მოწინავე კაცობრიობის ყველა საუკეთესო მისწრაფებას, ვინც შესძლო ხალხთა გაერთიანება, დარაზმვა საბჭოების ქვეყნის მიერ ამ წლების მანძილზე მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებებისათვის, კონსტიტუციის სულისჩამდგმელის შემოქმედისადმი — ჩვენი მშობლიური, ყველასათვის საყვარელი ამხანაგ სტალინისადმი (**ტაში**).

ყველა ოლქში, მხარეში, ყველა [illegible] პლენუმზე, საბჭოების სექციების 3.149 სხდომაზე. იქ ჩატარდა მუშათა, კოლმეურნეთა და ყველა მშრომელის 22.816 კრება. კონსტიტუციის პროექტისათვის მშრომელებმა შეიტანეს 14 ათასი წინადადება და დამატება.

მშრომელთა ეს ასი ათასობით, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მილიონობით წინადადებანი და დამატებანი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტისათვის გამსჭვალული არიან იმაზე მზრუნველობით, რომ კლასობრივმა მტრებმა ვერ შესძლონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საზიანოდ იმ უფართოესი თავისუფლების გამოყენება, რომელსაც სტალინური კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს, მზრუნველობით იმაზე, რომ კიდევ უფრო ზუსტად განმტკიცდეს ცხოვრებაშიც და კონსტიტუციაშიც სსრ კავშირში შემავალი ყველა ხალხის თანასწორობა, უზრუნველყოფილ იქნას ყველა ერისათვის კულტურული და სამეურნეო განვითარების უფართოესი შესაძლებლობა, მზრუნველობით იმაზე, რომ საბჭოთა ხალხების ერთიანი მონოლიტური ოჯახი, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ეწოდება, კიდევ უფრო მტკიცე და მიუვალი გახდეს.

ჩვენი ქვეყნის ხალხებმა ახალ კონსტიტუციას სტალინური კონსტიტუცია უწოდეს. ეს სწორია არა მარტო იმიტომ, რომ მისი შემუშავება ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ხდებოდა, რომ იგი დაწერილია მარტივი, ზედმიწევნით ნათელი სტალინური ენით. ეს სწორია იმიტომ, რომ სტალინის ხელმძღვანელობით, მისი წინამძღოლობით ჩვენმა ქვეყანამ შექმნა ის პირობები, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ჩვენი ახალი კონსტიტუცია (**ტაში**).

ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ხალხები მხნე, სიცოცხლით აღსავსე, ბედნიერნი არიან; ისინი განსაკუთრებული რწმენით შეჰყურებენ თავიანთ ხვალინდელ დღეს. [illegible] გორც ეს ხდება კაპიტალისტურ ქვეყნების გლეხობის მიმართ.

ამხანაგი სტალინი ათასჯერ მართალია, როცა ამბობს: „ჩვენი რევოლუცია ერთადერთია, რომელმაც არა მარტო დაამსხვრია კაპიტალიზმის ბორკილები და მისცა ხალხს თავისუფლება, არამედ მოასწრო კიდევ მიეცა ხალხისათვის მატერიალური პირობები შეძლებული ცხოვრებისათვის. ამაშია ჩვენი რევოლუციის ძალა და უძლეველობა“*).

და მართლაც, სხვა რომელ კონსტიტუციაში, სხვა რომელ სახელმწიფოში შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ის მატერიალური და კულტურული სიკეთენი, რომლებზედაც ლაპარაკია სტალინური კონსტიტუციის მე-10 კარში.

კაპიტალისტები, რომლებიც ჩვენს კონსტიტუციას თავიანთ ადლით ზომავენ, მსჯელობენ: კონსტიტუციაში შეიძლება ბევრი კარგი რამ ჩაიწეროს, ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის კონსტიტუციაშიც ცუდი რამ როდი სწერიაო.

მაგრამ მთელი საქმე სწორედ ის არის, რომ ჩვენი სტალინური კონსტიტუცია სწერს უკვე მიღწეულს! საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის სიამაყე და სიხარული გამომდინარეობს არა იმისაგან, რომ ეს სიკეთენი ჩაწერილია კონსტიტუციაში, არამედ იმისაგან, რომ ყველა ეს მონაპოვარი — რეალური შედეგია იმ დიდი ისტორიული გამარჯვებებისა, რომლებსაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი წლების განმავლობაში.

სტალინური კონსტიტუციის მნიშვნელობა სცილდება შინაგანი ცხოვრების ჩარჩოებს, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. სტალინური დოკუმენტის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ჩვენ თქვენთან ერთად ახლა არც კი შეგვიძლია მისი სავსებით შეფასება.

თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა, შედის რა სსრ კავშირის შემადგენლობაში, ამასთან ერთად წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოს. თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკას სავსებით რჩება სუვერენული სახელმწიფოს ყველა უფლება, თვით კავშირიდან გამოსვლის უფლებამდეც კი (კონსტიტუციის პროექტის 15, 16 და 17 მუხლები).

მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტი იზღუდება მხოლოდ კონსტიტუციის მე-14 მუხლში აღნიშნული ფარგლებით, სადაც ჩამოთვლილია ის საკითხები, რომლებიც მიეკუთვნებიან მხოლოდ-მხოლოდ კავშირის გამგებლობას მისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით. ეს, უწინარეს ყოვლისა, საგარეო პოლიტიკისა და საბჭოთა კავშირის საგარეო უშიშროების უზრუნველყოფის საკითხია. მათ რიცხვს ეკუთვნის კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო დამოკიდებულებათა დარგში, სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებათა დადება და რატიფიკაცია (მე-14 მუხ. პ. „ა“), შემდეგ—ომისა და ზავის საკითხები (მე-14 მუხ. პ. „ბ“), სსრ კავშირის თავდაცვისა და სსრ კავშირის მთელი შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ორგანიზაცია (მე-14 მუხ. პ. „ვ“), საგარეო ვაჭრობა სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე (მე-14 მუხ. პ. „გ“).

ამგვარად, საერთაშორისო იმპერიალიზმის წინაშე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი გამოდის ერთიანი მძლავრი სამხედრო, დიპლომატიური და სამეურნეო ფრონტით. ეს საკითხები მოკავშირე რესპუბლიკებმა მთლიანად და სავსებით მიანდეს სსრ კავშირს.

მაგრამ ჩვენი საბჭოთა კავშირი მარტო საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური გაერთიანება როდია. იგი ამავე დროს წარმოადგენს მთლიან სოციალისტურ სახალხო [illegible] თიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის საფუძველზე. ამიტომ სამეურნეო ხასიათის მთელი რიგი ამოცანები, სოციალისტური მეურნეობის გეგმიანი რეგულირებისა და მართველობის მთელი რიგი ფუნქციები აგრეთვე მიეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას.

ახალი კონსტიტუცია ადიდებს მოკავშირე რესპუბლიკათა სამეურნეო უფლებებსა და მატერიალურ ბაზას. რუსეთის სფს რესპუბლიკაში, მაგალითად, შექმნილია ოთხი ახალი სახალხო კომისარიატი. მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის, სატყეო მრეწველობისა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატები. საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით ამ სახალხო კომისარიატების გამგებლობასა და მმართველობაში გადაცემულია საკავშირო საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი. რუსეთის სფს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს საკავშირო სახალხო კომისარიატიდან გადაეცა 100-ზე მეტი მსხვილი საწარმო, რომელთა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1.300 მილიონ მანეთს აღემატება (1926-27 წ. უცვლელ ფასებში). რუსეთის სფს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემულია 1.500-ზე მეტი საწარმო, რომელთა პროდუქციის მოცულობა 1.327 მილიონ მანეთს უდრის. რუსეთის სფს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადადის 860 საბჭოთა მეურნეობა იმ 1.200 საბჭოთა მეურნეობიდან, რომლებიც საკავშირო სახალხო კომისარიატს აქვს რუსეთის სფსრ ტერიტორიაზე.

ეს საუკეთესო პასუხია საზღვარგარეთელ პოლიტიკანებისათვის, რომლებიც ჩვენს კონსტიტუციას აკრიტიკებენ იმ თვალსაზრისით, თითქოს მასში შეკვეცილია მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებები და გათვალისწინებულია მათი მატერიალური ბაზის შემცირება.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მძლავრ საბჭოთა კავშირს. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ საბჭოთა კავშირი იყოს სისხლსავსე საკავშირო სახელმწიფო გარეთაც და შიგნითაც. ჩვენი ფედერაციის ყველა ხალხს, ეროვნების მიუხედავად, მტკიცედ ახსოვს და არასოდეს არ დაავიწყდება, რომ ხალხთა თვითგამორკვევის უფლების გარდა არის კიდევ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა მშრომელის კანონიერი უფლება განამტკიცონ თავიანთი სოციალისტური სახელმწიფო, მშრომელთა უფლება—შექმნან სოციალისტური სახელმწიფოს ისეთი ძლიერება, რომელიც გააცამტვერებს ყველა მტერს, საიდანაც და რა რაოდენობითაც არ უნდა მოვიდნენ ისინი. (ტაში).

იმ წლების მანძილზე, რომლებმაც განვლეს იმ მომენტიდან, როცა საბჭოთა პირველ კონსტიტუციას ვიღებდით, დღემდე, როცა ჩვენ ახალ კონსტიტუციას ვღებულობთ, ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასი ერთისამად და უფრო მეტად გაიზარდა.

იგი განუზომლად გაიზარდა კულტურულად და პოლიტიკურად, გაიზარდა მისი საწარმოო კვალიფიკაცია. მტრები აქაც მოტყუვდნენ ანგარიშში. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი წარმატებით ართმევს თავს ახალი ტექნიკის ათვისების ამოცანას, ხოლო სტახანოვური მოძრაობა, რომელიც თანდათან ვითარდება, იმას გვეუბნება, რომ არ არის ისეთი ციხე-სიმაგრეები, რომელთა აღებაც არ შეეძლოს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს, რომელთა აღებაც არ შეეძლოთ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს.

ან როგორ არ უნდა ავიღოთ ჩვენ ეს სიმაგრეები?

[illegible]

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

---

*) ი. ბ. სტალინი. სიტყვა სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე. პარტგამომცემლობა 1935 წ. გვ. 16.



მოსკოვი, კრემლი. პირველ პლანზე—კრემლის სასახლე, სადაც მიმდინარეობს საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობა.

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობა

ამხ. დ. ე. სულიმოვის სიტყვის დასასრული

ცნობას მოსკოვის სტალინის სახელობის ავტოქარხნიდან. ამ ქარხანაში მუშაობს 38 ათასი კაცი. მეტი ამ ქარხნის სასწავლო-საწარმოო კომბინატში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს 18 ათასი კაცი, ე. ი. მუშათა და მოსამსახურეთა მთელი შემადგენლობის 49 პროცენტი. მათ შორის: ტექნიკუმში—510 კაცი, მუშფაკში—425 კაცი, საფაბრიკო - საქარხნო სკოლაში—1.000 კაცი; ტექმინიმუმს გადის 6.000 კაცი, სოციალისტური შრომის ოსტატთა კურსებზე სწავლობს 1.700 კაცი, სტახანოველთა კურსებზე — 3.500, ინჟინერ - ტექნიკოს მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე — 564, ახალ მუშათა მოსამზადებელ კურსებზე — 2.000 კაცი, უცხო ენების ინსტიტუტში—600 კაცი, მოზრდილთა საშუალო განათლების ორ სკოლაში — 1.730 კაცი.

ამ ქარხანაში არის 74 კაცი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ მფრინავთა სკოლა, 61 კაცი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საპლანერო სკოლა, 4.850 ვოროშილოველი მსროლელი.

1936 წელს მუშებს მიეცათ 3.300 საგზური დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში.

ასეთსავე სურათს ვხედავთ მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტში“, სადაც გახსნილია საკუთარი ინსტიტუტი, რომელიც ქარხნისათვის ამზადებს კვალიფიციურ კადრებს, საკუთარი ტექნიკუმი, მუშფაკი, საფაბრიკო - საქარხნო სკოლა, სხვადასხვა კურსები და ა. შ.

ეს საწარმოები, რომლებიც მე დავასახელე, არ წარმოადგენენ განსაკუთრებულ გამონაკლისს.

ასეთსავე სურათს, შეიძლება რამოდენიმე სხვანაირი ვარიაციებით, შევხვდებით ყველა ქარხანაში — აქაც, მოსკოვში, ლენინგრადშიაც და რომელიც გნებავთ იმ სამრეწველო ცენტრშიც.

განა ჩვენი კოლმეურნეობანი თავიანთ წარმოებასთან ერთად არ ეწევიან უდიდეს კულტურულ მუშაობას? განა ჩვენი კოლმეურნეები რითიმე მაინც ჰგვანან წინანდელ გლეხებს, რომელთა ინტერესების რკალიც შემოზღუდული იყო თავისი სოფლის საზღვრით ანდა პატარა ჩამორჩენილი საკუთარი მეურნეობითაც კი?

აი, სწორედ ამ ახალ ვითარებას, საბჭოთა ამ ახალ ადამიანებს ასახავს სტალინური კონსტიტუციის პროექტი.

ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა— რაც შეიძლება ჩქარა გარდავქმნათ ყველა ჩვენი სახელმწიფო ორგანოს მუშაობა თავიდან ბოლომდე და დავაყენოთ იგი გაცილებით უფრო უკეთ, ვიდრე ეს დღეს არის, ავიყვანოთ იგი უფრო მაღალ დონეზე.

საქალაქო საბჭოების, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებმა და საბჭოთა აპარატის სხვა მუშაკებმა მტკიცედ უნდა შეითვისონ, რომ ახალი კონსტიტუცია მოითხოვს მათი მუშაობის მეთოდების რადიკალურად შეცვლას, იგი მათგან მოითხოვს გაცილებით მეტ კულტურას, განუზომლად უფრო მეტს ყურადღებით დამოკიდებულებას მოსახლეობის მოთხოვნილებებისადმი, მისი ყოველდღიური საჭიროებებისადმი, ყოველივე იმისადმი, რითაც სულდგმულობენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები თვითეულ სოფელში, რაიონში, თვითეულ ქალაქში. ამასთან დაკავშირებით, მე მინდა მოვაგონო ყველას ამხანაგ სტალინის სიტყვები, რომლებიც მან ამერიკის პრესის წარმომადგენელ ჰ. როი ჰოვარდთან საუბარში სთქვა:

„საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნები საბჭოთა კავშირში იქნება მათრახი მოსახლეობის ხელში ხელისუფლების ცუდად მომუშავე ორგანოების წინააღმდეგ“.

საქალაქო საბჭოების, რაიაღმასკომების და სასოფლო საბჭოების ის თავმჯდომარეები, რომლებიც დროულად ვერ გარდაქმნიან თავის მუშაობას და ვერ მოიპოვებენ მოსახლეობის ნდობას, არ იქნებიან ხელახლა არჩეული. უნდა გვახსოვდეს, რომ არჩევნები ახალი კონსტიტუციით სულ სხვანაირი იქნება, ვიდრე დღემდის იყო. ეს განსხვავება, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ ყველამ ვერ შეითვისა, ჯერ კიდევ ყველამ საკმაოდ ვერ გაიგო. ყოველივე ამაზე ახლავე უნდა ვიფიქროთ. უნდა უზრუნველვყოთ საბჭოთა მუშაობის ნამდვილი გაუმჯობესება, უფრო მაღალ საფეხურზე უნდა დავაყენოთ იგი.

o

სტალინური კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა მსოფლიოში. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი ხმას აძლევს მის დამტკიცებას. მას **უეჭველად დაამტკიცებს ჩვენი ყრილობა,** როგორც იგი უკვე დაამტკიცეს მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხებმა უამრავ კრებებსა, პლენუმებსა და ყრილობებზე.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო სწრაფად წავა წინ — ახალი სოციალისტური გამარჯვებებისაკენ, ვერავითარი ძალა მსოფლიოში ვერ შეაჩერებს საბჭოების ქვეყნის ძლევამოსილ მსვლელობას. უბადრუკ, უსაზიზღრეს ქვეწარმავლებად გამოიყურებიან საზიზღარი მკვლელები, თვალთმაქცები, ფაშისტური ბურჟუაზიის ხელშემწყობნი მის ყველაზე უფრო ბინძურ და ბნელ საქმეებში — ტროცკისტულ-ზინოვიევური პიგმეები, რომლებიც მალულად ეწევიან მავნებლობას და ცდილობენ ტერორით გამოგვაცალონ ხელიდან ქვეყნის ის საუკეთესო ადამიანები, რომლებიც რევოლუციამ წამოაყენა ჩვენი პარტიისა და საბჭოების ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის. ხალხის მსახვრალი ხელი გაანადგურებს ყველა ამ არამზადას უკლებლივ, ბოლოს მოუღებს მათ დანაშაულებრივ, საზიზღარ მუშაობას.

ამ მომენტში, როცა ახალი კონსტიტუცია მტკიცდება, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელის სიყვარულისა და ერთგულების უსაზღვრო გრძნობები კვლავ მიამართება დიადი, სახელოვანი მებრძოლი კომუნისტური პარტიისადმი. სიყვარულისა და ერთგულების ეს გრძნობები მიმართულია იმისადმი, ვინც არის ყველა ჩვენ მიერ მოპოვებული გამარჯვების სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი, უდიდესი ისტორიული დოკუმენტის შემოქმედისადმი, ლენინის საქმის, განმგრძობისადმი— დიდი საყვარელი, მშობლიური სტალინისადმი! (ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურყევ ძმურ კავშირს! (ტაში).

პრესის გამოხმაურება ამხანაგ სტალინის მოხსენებაზე

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ

„სოციალიზმის უცილობელი ტრიუმფი“

ლონდონი, 27 ნოემბერი. (საქდესი). ინგლისის კომპარტიის ორგანო „დეილი უორკერი“ დღეს აქვეყნებს საბჭოთა საგანგებო ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მიერ გაკეთებული მოხსენების პირველ ნაწილს შემდეგი სათაურით: „სტალინის მოხსენება. კონსტიტუცია—მუქარაა [illegible]. სტალინის მოხსენება ახალი საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ საბჭოთა კავშირის ხალხებს და მთელს მსოფლიოს უსახავს დემოკრატიისა და ხელისუფლების ახალ პერსპექტივებს. ეს — ისეთი მოხსენებაა, რომელიც ისტორიაში დარჩება. მან ნათლად გვიჩვენა მრავალ ბურჟუაზიულ მეთვალყურეთა კრიტიკის ზერელე ხასიათი“.

მოწინავე სტატიაში „დეილი უორკერი“ აღნიშნავს, რომ არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია ისეთი კონსტიტუცია, რომლის შედარება რამოდენიმე მაინც შეიძლებოდეს ახალ საბჭოთა კონსტიტუციასთან. სტალინის მოხსენებამ, — სწერს გაზეთი,—ისტორიის გრანიტოვან კლდეზე აღბეჭდა სოციალიზმის უცილობელი ტრიუმფი. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა ყველა დაპირება შეასრულეს. მათი მტრების ყველა მტკიცება, რომ მათ გადაუხვიეს თავის პრინციპებს, რომ ისინი გადიხარნენ მარჯვნივ თუ მარცხნივ, — ყალბია. სსრ კავშირი —ეს ისეთი ქვეყანაა, სადაც ცხოვრება სასიხარულო და ბედნიერია, სადაც მუშაობა სდუღს და გადმოდუღს, სადაც არ არის უმუშევრობა, სადაც პროდუქცია შვიდჯერ, ნაციონალური შემოსავალი კი — ოთხჯერ აღემატება ომის წინანდელ დონეს. ეს—ისეთი ქვეყანაა, სადაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. საბჭოთა კავშირის ხალხებმა სტალინის მეთაურობით, თავისი ძლიერი მრეწველობით, თავისი განსაზოგადოებული სასოფლო მეურნეობით, თავისი სიყვარულითა და მზრუნველობით მეცნიერებაზე, კულტურასა და ხელოვნებაზე სამარადისოდ უზრუნველჰყვეს სოციალისტური ეკონომიკა. ახალი კონსტიტუცია—ეს თავისუფალ მამაკაცთა და ქალთა უფლებების ქარტიაა ახალ, უკლასო სოციალისტურ საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ, ახალი კონსტიტუცია წარმოადგენს ნამდვილი დემოკრატიის პირველ განხორციელებას“.

„სსრ კავშირში პროლეტარები უკვე აღარ არიან“

სტოკჰოლმი, 27 ნოემბერი. (საქდესი). შვეციის ყველა გაზეთი დღეს ათავსებს დაწვრილებით ანგარიშს საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მიერ გაკეთებული მოხსენების შესახებ. მთავრობის პარტიის ორგანო „სოციალ-დემოკრატენი“ ცნობას თვალსაჩინო ადგილას ათავსებს შემდეგი სათაურით: „სსრ კავშირში პროლეტარები უკვე აღარ არიან, კაპიტალიზმი ლიკვიდირებულია. უმაღლესი სტადია—კომუნიზმი—შემდეგში მიზანია“.

ლიბერალური „დაგენს ნიჰეტერი“ სათაურებში ხაზს უსვამს ამხანაგ სტალინის ბრწყინვალე გალაშქრებას გერმანიის ოფიციოზის კრიტიკოსთა წინააღმდეგ, და ამხანაგ სტალინის განცხადებას, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი ძალაში სტოვებს მუშათა კლასის დიქტატურის რეჟიმს.

„გეტებორგს ხანდელსტიდნინგ“ სათაურში სწერს: „საბჭოთა კავშირში მუშები უკვე პროლეტარები აღარ არიან. არავითარი კრიზისი, არავითარი უმუშევრობა, არავითარი გაჭირვება, — აცხადებს სტალინი“.

კონსერვატიული „აფტონბლადეტ“ სათაურში ნათქვამია:

„სტალინის დიდი მოხსენება საბჭოების ყრილობაზე. საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმი ლიკვიდირებულია, შექმნილია ძლიერი ინდუსტრია, შექმნილია სრულიად ახალი გლეხობა და ახალი ინტელიგენცია“.

ამხ. მუსაბეკოვის სიტყვა

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მე, დელეგატს ამიერ-კავკასიის ფედერაციისას, რომლის თავისუფალი ხალხები შემჭიდროვებული არიან ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მიერ აღზრდილ და ხალხთა დიდი ბელადის, რევოლუციის გენიოსის ამხანაგ სტალინის მიერ გამოზრდილ ერთიან მეგობრულ ოჯახად, — მხურვალე ბოლშევიკური სალამი გადავცე საბჭოების სრულიად - საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობას. (ტაში).

ამხანაგებო, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების აყვავების ისტორია, იმ რესპუბლიკებისა, რომელთა დელეგატად მე თქვენს წინაშე გამოვდივარ, ჩინებულად ასურათებს ბოლშევიკური ნაციონალური პოლიტიკის [illegible].

ჩვენი დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის წინადადებით რ.კ.პ.(ბ) ც. კ-მა 15 წლის წინათ მიიღო გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ. ამხ. სერგო ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით ამიერ - კავკასიის ბოლშევიკებმა შექმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

ქართველი მენშევიკებისაგან, აზერბაიჯანელი მუსავატელებისაგან და სომეხი დაშნაკებისაგან ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ იმპერიალისტური ომით და ამ კონტრრევოლუციური პარტიების ნაციონალისტური პოლიტიკით განადგურებული მეურნეობა, ნავთის დანგრეული სარეწაოები აზერბაიჯანში, მარგანეცის დანგრეული საბადოები საქართველოში, სამარცხვინოდ საბოლოოდ გაპარტახებული სოფლის მეურნეობა სომხეთში და მთელს ამიერ-კავკასიაში, სოფლის მეურნეობა, ლენინის სიტყვით, „კიდევ უფრო გლეხური, ვიდრე რუსეთში“.

ამიერ-კავკასიის ერთა შორის ურთიერთობაში ადგილი ჰქონდა შოვინიზმის ველურ თარეშს და უკანასკნელ საზღვრამდე მისულ ერთმანეთის სიძულვილს.

ამხანაგებო, რა გვაქვს ჩვენ ამ 15 წლის შემდეგ? ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების შედეგად, ეროვნებათა უთანასწორობის ლიკვიდაციისა და ერთა შორის მშვიდობიანობის დამკვიდრების შედეგად, საბჭოთა საქართველოში 15 წლის მანძილზე აშენებულია 117 სხვადასხვა სამრეწველო საწარმო, ე. ი. საქართველოს მთელი მრეწველობის 96.7 პროცენტი.

საქართველოს რესპუბლიკის საერთო პროდუქციამ ამ ხნის განმავლობაში 19-ჯერ იმატა და მიმდინარე წელს 600 მილიონ მანეთს მიაღწია.

რეკონსტრუირებულია მარგანეცის მრეწველობა, ფართოდ ვითარდება სამთამადნო მრეწველობა, ახლად შეიქმნა მსუბუქი და კვების მრეწველობა, აშენდა მსხვილი ელექტროსადგურები, როგორიცაა ზაჰესი, რიონჰესი, შენდება ახალი სადგურები — ტყვარჩელის რაიონული ჰიდროელსადგური და სხვ. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ენერგოშეიარაღება 8 ათასი კილოვატიდან 160 ათას კილოვატამდე ავიდა. ელექტროენერგიის გამომუშავება 22-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.

აზერბაიჯანში, ნაცვლად წვრილი საწარმოებისა, რომლებიც მტაცებლურად ანიავებდნენ მიწის წიაღის სიმდიდრეებს, ჩვენ გვაქვს ნავთის ერთიანი მძლავრი მრეწველობა, სავსებით რეკონსტრუირებული უახლესი მოწინავე ტექნიკის საფუძველზე, სავსებით ელექტროფიცირებული. მას გრანდიოზული დამხმარე საწარმოები აქვს. აღარაფერი დარჩენილა წინანდელი, რაც რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალისტთა ბინძურ სარეწაოებს მოგვაგონებდეს. ნაცვლად უბადრუკი ქოხმახებისა, რომლებშიაც მიკრუნჩხული იყვნენ მუშები, წარმოიშვენ ახალი კეთილმოწყობილი ქალაქი—ახალშენები. ომამდელი 6-7 მილიონი ტონის ნაცვლად, ჩვენ ვღებულობთ 21,5 მილიონ ტონა ნავთს.

კიროვაბადი, ნუხა და მთელი რიგი ქალაქები წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილი საფეიქრო და აბრეშუმის მრეწველობის კერებს.

აზერბაიჯანში იზრდება ქიმიური და მანქანათმშენებლობის, საფეიქრო და აბრეშუმის მრეწველობა. მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულებამ ომისწინადროინდელთან შედარებით 10-ჯერ იმატა, ერთიორად და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში.

მილიარდ მანეთზე მეტი დააბანდა საბჭოთა ხელისუფლებამ ამ წლების მანძილზე სომხეთის სახალხო მეურნეობაში. მრეწველობის ხვედრითი წონა 10 პროცენტიდან 1919 წელს ავიდა 62,4 პროცენტამდე 1935 წელს. რეკონსტრუირებულია სპილენძის მრეწველობა, ვითარდება ქიმიური, კვების და სხვა მრეწველობა.

ერევანში მთავრდება სინთეტიკური კაუჩუკის უდიდესი ქარხნის მშენებლობა. საერთო პროდუქცია 16 მილიონი მანეთიდან 1913 წელს ავიდა 145 მილიონ მანეთამდე 1935 წელს. ხორციელდება სევანის ტბის წყლების ენერგიის გამოყენების გრანდიოზული პროექტი და უკვე ამუშავდნენ პირველი რიგის ელექტროსადგურები — ერევნის რაიონული ჰიდროელსადგური და ქანაქერჰესი. სომხეთის ელექტროსადგურების სიმძლავრე 1,5 ათას კილოვატიდან 42 ათას კილოვატამდე ავიდა.

მძლავრი და სწრაფი ტემპებით ხორციელდება ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში ლენინის დავალება საბჭოთა ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ.

გასულ პერიოდში ამიერ-კავკასიის მრეწველობის რუკა ისე შეიცვალა, რომ მას ახლა ვეღარ იცნობთ. არანაკლებ შეიცვალა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის რუკაც. აზერბაიჯანი საბჭოთა კავშირის ბამბის მეორე მძლავრ ბაზად გადაიქცა. იგი გახდა ეგვიპტის ძვირფასი ჯიშის ბამბის ძირითადი რაიონი. აზერბაიჯანის სუბტროპიკული რაიონები გამოყენებულია ჩაისა და ციტრუსოვან მცენარეთა გასაშენებლად.

მეხილეობის მეურნეობის განვითარებაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია საბჭოთა საქართველომ. ჩაის მიერ დაკავებული ფართობი 35,6 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. მიმდინარე წელს უკვე მოკრეფილია 19 მილიონ კილოგრამზე მეტი ჩაი. ციტრუსების ფართობი 4 ათას ჰექტარამდე გაიზარდა და 1940 წელს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით იგი 20 ათას ჰექტარამდე იქნება აყვანილი. იზრდება მაღალხარისხოვანი თამბაქოს, ვენახისა და ხილის ბაღების ფართობი.

სომხეთის სსრ რესპუბლიკა წარმატებით ეწევა ხილის ბაღებისა და ვენახების გაშენებას, რომელთა ფართობი უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ერთიორად და კიდევ უფრო მეტად გადიდდა.

სომხეთის მშვენიერ მთიან საძოვრებზე ვითარდება მაღალპროდუქტიული მეცხოველეობა. ამიერ-კავკასიის ფედერაციასა და ჩრდილო-კავკასიას შორის გამართული სოცშეჯიბრების შედეგად ჩვენ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით უპირატესობა მივიღეთ მეცხოველეობაში.

სოფლის მეურნეობის ამ წარმატებათა მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ ამიერ-კავკასიის სოფელში საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების ბაზაზე. ჩვენში იშვიათად როდი შეხვდებით ისეთ კოლმეურნეებს, რომელთა წლიური შემოსავალი 10—15 ათას მანეთს უდრის. ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობენ დღეს ამიერ-კავკასიის კოლმეურნეები, მხიარულად გაისმის მათი ახალი სიმღერა. ახალი თაობისათვის გაუგებარ ლეგენდად მოისმის მოხუცთა ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი ქართველი თავადებისა, აზერბაიჯანელი ბეგებისა და ხანების უღლის ქვეშ. მხიარულად ცხოვრობენ ახლა, სრულდება ის, რაზედაც მოხუცები მხოლოდ ოცნებობდნენ.

ცარიზმი ახრჩობდა ამიერ-კავკასიის ეროვნებათა კულტურას. მეფის დროს თითო სკოლა მოდიოდა საქართველოს მოსახლეობის 5 ათას მცხოვრებზე, რუსი მოსახლეობის 3 ათას კაცზე, 6 ათას სომეხსა და 17 ათას თურქზე. აზერბაიჯანში რევოლუციის წინა 20 წლის მანძილზე წერა-კითხვის მცოდნეობამ 6,3 პროცენტიდან მხოლოდ 9,3 პროცენტამდე იმატა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წლის მანძილზე კი აზერბაიჯანში წერა-კითხვის მცოდნეობა 90 პროცენტამდე გაიზარდა.

1914-1915 წლებში აზერბაიჯანის დაბალ და საშუალო სკოლებში სწავლობდა სულ 23 ათასი თურქი, მათ შორის 2 ათასი თურქი ქალი. შარშან, აზერბაიჯანის სკოლებში სწავლობდა 290 ათასი თურქი, მათ შორის 111 ათასი თურქი ქალი (ტაში). სომხეთში 1913 წელს სულ იყო 458 სკოლა 34.400 მოსწავლით. შარშან სომხეთში იყო 1.147 სკოლა 213 ათასი მოსწავლით, ხოლო საქართველოში 1935 წელს სწავლობდა 614 ათასი მოსწავლე.

რევოლუციამდე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი ყოფილა. ახლა ამიერ-კავკასიის თვითეულ რესპუბლიკაში ათობით უმაღლესი სასწავლებლები და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებია. ხალხის მასებიდან იზრდება ახალი ინტელიგენცია. მარტო საბჭოთა საქართველომ მოგვცა 14 ათასი ინჟინერი, აგრონომი და ექიმი. შარშან 9 ათასი თურქი სწავლობდა აზერბაიჯანის უმაღლეს სასწავლებლებში, დაახლოვებით 4 ათასმა კაცმა დაამთავრა სომხეთის უმაღლესი სასწავლებლები და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში აყვავდა ლიტერატურა, ხელოვნება და მეცნიერება. სრულიად-საკავშირო ხელოვნების დღესასწაულს წარმოადგენდა გამოფენა სურათებისა, რომლებიც ქართველმა მხატვრებმა დახატეს თემაზე — „ამხანაგ სტალინის ბიოგრაფია“.

ამ წლების მანძილზე საბჭოთა საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა შექმნეს თავიანთი ნაციონალური დასაყრდენი. თვითეულ ამ რესპუბლიკაში პოეზიამ შექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მრავალი ხალხის ენებზე ითარგმნება. კიდევ უფრო მეტი ძალით ხორციელდება ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება განთავისუფლებული ხალხის ხალხურ შემოქმედებაში. იქმნება განსაცვიფრებელი ხელოვნება როგორც სიმღერის, ისე ცეკვის დარგში. ამიერ-კავკასიის აშუღები თავიანთ ლექსებში უმღერიან მშრომელთა ბედნიერ ცხოვრებას და მის შემოქმედს—დიდ სტალინს. (ტაში).

სად, როდის და რომელ მიწაწყალზე შეიძლებოდა მიგვეღწია ჩვენ ნაციონალური კულტურის ასეთი აყვავებისათვის? მხოლოდ ჩვენს სტალინურ ეპოქაში, მხოლოდ ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის მიწაწყალზე.

როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი რესპუბლიკები 1921 წელს გაერთიანდნენ ამიერ-კავკასიის ფედერაციად. ამ გაერთიანებაში ჩვენ ჩავატარეთ ბრძოლა ნაციონალისტურ გადახრებთან და მოვახდინეთ ერთა შორის შუღლის ლიკვიდაცია. ამ გაერთიანებაში ჩვენ მოვსპეთ კაპიტალისტური ელემენტები ჩვენს რესპუბლიკებში და ავაშენეთ სოციალისტური სოფლის მეურნეობა, ამ გაერთიანებაში ჩვენ მივაღწიეთ იმ წარმატებებს მშენებლობის ყველა დარგში, რომელთა შესახებ მე უკვე მოგახსენეთ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკების მიერ მიღწეულმა ამ [illegible] წარმატებებმა შესაძლებელი გახადეს [illegible], რომ მოგვეხდინა ლიკვიდაცია ამიერ-კავკასიის ფედერაციისა, რომელმაც გადასჭრა პარტიისა და მთავრობის მიერ მის წინაშე დასახული ყველა ამოცანა.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სწრაფი ზრდის პირობებში რესპუბლიკის მმართველობის ცენტრალიზაცია შეაფერხებდა მათი სამეურნეო ძლიერების შემდგომ განვითარებას. უკანასკნელ წლებში გაფართოვდა და განმტკიცდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სამეურნეო და კულტურული კავშირი უშუალოდ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან. ამის გამო ახალი სტალინური კონსტიტუციის პროექტის მე-13 მუხლი სავსებით სწორად და დროულად ითვალისწინებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შემდგომი მშენებლობის გზებს—აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის უშუალოდ შესვლას საბჭოთა კავშირში და ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციას. ეს სავსებით მომწიფებული ღონისძიება კიდევ უფრო მეტ აყვავებას უმზადებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს.

არ მოიპოვება ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს არც ერთი კუთხე სადაც არ განეხილოთ სტალინური კონსტიტუციის პროექტი. უამრავი შესწორებანი და დამატებანი შემოიტანეს მშრომელებმა ახალი კანონის პროექტისათვის. ამხანაგმა სტალინმა დიდის სიბრძნით განიხილა ეს მასალა, წინადადება მოგვცა მივიღოთ მხოლოდ ის, რაც მათში სასარგებლოა და უარვყოთ ის, რაც საჭირო არ არის.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიერ ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა მოწმობს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ აღზრდილი ჩვენი მშრომელი მასების მძლავრ ზრდას, პოლიტიკურ მომწიფებას. (ტაში).

სტალინური კონსტიტუცია ნებაყოფლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე კიდევ უფრო ამჭიდროვებს დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს.

საბჭოების მე-8 ყრილობა ბრწყინვალე ფურცელს სწერს საბჭოების ქვეყნის გმირულ ისტორიაში. ახალი კონსტიტუცია კიდევ უფრო მეტად აამაღლებს სოციალიზმის მშენებელთა დიდი არმიის შემოქმედებისა და ენთუზიაზმის ტალღას. იგი სიძულვილსა და გაბოროტებას იწვევს ჩვენს მტრებში, რომლებსაც სტალინმა თავის სიტყვაში გამანადგურებელი პასუხი გასცა. ყველა ქვეყნის მშრომელის გულში, ყველა იმის გულში, ვინც ამჟამად ეწევა ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის, ჩვენი კონსტიტუცია აძლიერებს გამარჯვების იმედებს, აძლიერებს სიყვარულს ჩვენი მძლავრი მშვენიერი სამშობლოსადმი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მილიონები ჩვენი კონსტიტუციის სტრიქონებში ამოიკითხავენ თავიანთი ბრძოლისა და გამარჯვებათა ისტორიას. ისინი ხედავენ, თუ რისთვის იბრძოდნენ და რას მიაღწიეს, და იმ დღეს, როცა გონებადაკარგული მტერი გაბედავს თავს დაესხას ჩვენს ბედნიერ სამშობლოს, საბჭოთა კავშირის თავისუფალი ხალხები მას ერთსულოვან და ღირსეულ პასუხს გასცემენ.

დიდება ბოლშევიკთა მძლავრ პარტიას, რომელიც მტკიცედ არის დაკავშირებული დიდი საბჭოთა კავშირის ხალხის მასებთან. დიდება დიდ ბელადს, ახალი კონსტიტუციის შემოქმედს, ყველა საუკუნისა და ყველა ქვეყნის მშრომელი კაცობრიობის გულში უკვდავს ამხანაგ სტალინს. (ხანგრძლივი ტაში).

ყრილობის დღიური

27 ნოემბრის საღამოს სხდომა

საღამოს 6 საათზე ყრილობამ განაახლა თავისი მუშაობა.

თავმჯდომარე ამხ. გ. ი. პეტროვსკი სიტყვას აძლევს ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **მუსაბეკოვს.** ამხ. მუსაბეკოვმა აღნიშნა უდიდესი ისტორიული როლი ამიერ-კავკასიის ფედერაციისა, რომელიც შეიქმნა დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის ინიციატივით, და მიესალმა სტალინური კონსტიტუციის პროექტის მე-13 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უშუალოდ შესვლას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

— საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობას, დიდ ბელადს სტალინს ქართველი ხალხისაგან სალამი! — შესძახებს მქუხარე ტაშის გრიალში ქართველი პოეტი ამხ. **ლეონიძე.**

ახალი კონსტიტუციისა და მისი დიდი შემოქმედის სტალინის შესახებ ლექსმა, რომელიც ამხ. ლეონიძემ წაიკითხა ქართულსა და რუსულ ენებზე, ხანგრძლივი ტაში გამოიწვია დარბაზში.

აღფრთოვანებული ოვაცია იწყება, როდესაც გაისმის ფანფარების ხმა და დარბაზში შემოდის მუშურ-გლეხური წითელი არმიის დელეგაცია, რომელიც მოვიდა სოციალიზმის ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონის — საბჭოების საგანგებო ყრილობის მისასალმებლად. ყველანი ფეხზე დგებიან. გრიალებს ტაში. ზუსტი ნაბიჯით შემოდიან [illegible], მფრინავები, ტანკისტები, კავალერისტები, წითელფლოტელები, არტილერისტები — დიადი საბჭოთა ხალხის შვილები, რომლებიც [illegible] იარაღით ხელში დაიცვან თავიანთი მშვენიერი სოციალისტური სამშობლო.

პრეზიდიუმში გამოჩნდება ამხანაგი სტალინი. ახალი ძალით ბობოქრობს ოვაციების ქარიშხალი (საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის, სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, კონსტიტუციის გენიალური შემოქმედის — მშობლიური სტალინის პატივსაცემად. მრავალი წუთის განმავლობაში არ ცხრება მქუხარე „ვაშა“, რომელსაც ერთვება ამხანაგი სტალინისა, საბჭოთა კავშირის პირველი მარშლის ვოროშილოვისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიისადმი მიმართული საზეიმო შეძახილები.

ქანდაკებასავით დგანან მებრძოლნი, რომელთაც დაიკავეს რიგთა შორის ყველა გასასვლელი. ტრიბუნაზე ადის საარტილერიო ბატარეის მეთაური, კაპიტანი **კაზაკოვი.**

— ამხანაგებო, წითელი არმიის წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელით, — ამბობს ამხ. კაზაკოვი, — ჩვენს მხურვალე მებრძოლ წითელარმიულ სალამს გიძღვნით თქვენ, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის საბჭოების მე-8 ყრილობის დელეგატებს.

ოვაციების გრიალი. იგი თანდათან მატულობს, როდესაც ამხ. კაზაკოვი წითელი არმიის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა მხურვალე სიყვარულისა და თავდადების პირველ სიტყვას მიმართავს კონსტიტუციის შემოქმედს, საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

— სტალინურ კონსტიტუციას ჩვენ დავიცავთ ათასობით საბრძოლო თვითმფრინავებით, ათასობით ტანკებითა და მძლავრი არტილერიით! სტალინურ კონსტიტუციას ჩვენ დავიცავთ კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ქვეითი ჯარით და მამაცი კავალერიით! სტალინურ კონსტიტუციას ჩვენ დავიცავთ სახაზო გემებით, კრეისერებით, ნაღმოსნებით და წყალქვეშა ნავებით — შესძახებს ტაშის გრიალში ამხ. კაზაკოვი.

— საბჭოთა ხალხს აქვს ისიც, რაც უნდა დაიცვას, ჰყავს ისინი, ვინც დაიცავს და აქვს ისიც, რითაც უნდა დაიცვას! — მოისმის ტრიბუნიდან ოვაციათა გრიალში.

მუშურ-გლეხური არმიის წარმომადგენლის დინჯ და დაჯერებულ სიტყვაში მოისმის მრისხანე გაფრთხილება ფაშისტების მიმართ, რომელნიც ოცნებობენ საბჭოთა მიწა-წყლის დაპყრობაზე და თავის კოლონიად გადაქცევაზე.

— ამხანაგ სტალინს ჩვენი მქუხარე საბრძოლო წითელარმიული ვაშა! — აცხადებს ამხ. კაზაკოვი თავისი მისასალმებელი სიტყვის დამთავრებისას.

საზეიმო „ვაშა“ აზანზარებს დარბაზს. ათობით ენაზე გაისმის მისასალმებელი შეძახილი ხალხთა დიდი ბელადისა და მამის პატივსაცემად გამარჯვების ჰიმნად გრგვინავს მშობლიური სახელი — **სტალინი.**

შესვენების შემდეგ სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის პროკურორს ამხ. **ვიშინსკის.**

დიდი აღგზნებით ლაპარაკობს ამხ. ვიშინსკი დიდი სტალინური კონსტიტუციის შესახებ, რომელშიც ჩამოყალიბებულია მრავალი თაობის მილიონ ადამიანთა ოცნებანი.

— არცერთი ბურჟუაზიული კონსტიტუცია მსოფლიოში, თვით ყველაზე რადიკალურიც კი — ამბობს ამხ. ვიშინსკი,— არ შეიძლება შევადაროთ საბჭოთა კონსტიტუციებს. სტალინური კონსტიტუცია განვითარების ახალ გზებს აძლევს საბჭოთა იუსტიციას, საბჭოთა პროკურატურას. პროკურატურის ყველა მუშაკის სახელით ამხ. ვიშინსკი უცხადებს ყრილობას, რომ ისინი მზად არიან შემდეგაც მაღლა ეჭიროთ სოციალისტური კანონიერების დროშა, ულმობლად ამარცხონ ხალხის მტრები, ტროცკისტ-ზინოვიეველი ნაძირალები, რომელნიც ცდილობენ ხელი აღმართონ ხალხის მონაპოვართა წინააღმდეგ.

დიდი პროლეტარული რევოლუციის მიერ აღორძინებულ თურქმენთა ხალხის გამარჯვებებზე ლაპარაკობდა თავის გამოსვლაში — თურქმენთა სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ათაბაევი.

საბჭოთა ხელისუფლებამ აღმოაჩინა თურქმენისტანის უხვი საწარმოო ძალები და სოციალიზმის სამსახურში ჩააყენა ისინი. თურქმენისტანი საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე რესპუბლიკად ხდება.

ამხ. ათაბაევი ასახელებს რეკორდსმენ — მებამბეთა სახელებს, იძლევა შესანიშნავ ცნობებს მილიონერ კოლმეურნეთა შემოსავლის შესახებ, ლაპარაკობს თურქმენი ხალხის კულტურულ ზრდაზე.

საღამოს სხდომის დასასრულს ყრილობას მიესალმა ქალაქ ტულის მუშათა დელეგაცია. ტაშის გრიალით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები ტულის დელეგაციას, რომელიც დარბაზში შემოვიდა დროშებითა და მრავალი საჩუქრით.

ამხ. **ლეონოვი** სალამს უძღვნის ყრილობას, საბჭოთა მთავრობას და ხალხთა ბელადს, საყვარელ სტალინს ტულის პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა სახელით.

ამხ. **ლეონოვი** მოუთხრობს ყრილობას, თუ რა სულგანაბულნი ისმენდნენ ტულელი მშრომელნი სტალინის მოხსენებას, მის ნათელს, მკაფიო, ყველასათვის გასაგებ სიტყვას.

— და იმ მომენტში, როდესაც მოხსენება დამთავრდა, ჩვენ თქვენთან ერთად ვმღეროდით პროლეტარიატის დიად ჰიმნს „ინტერნაციონალს“, — ამბობს ამხ. ლეონოვი, — ბედნიერებისა და სიხარულის ცრემლები უბრწყინავდათ თვალებში პატიოსან მშრომელთ.

თავის პირველ ხმას ახალი კონსტიტუციის საფუძველზე მომხდარ არჩევნებში ტულელები მისცემენ იმას, ვინც არის მუშათა კლასის ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორი, მისცემენ ახალი კონსტიტუციის შემოქმედს, დიდ სტალინს.

ამხ. **ლეონოვი** უბატაკებს ყრილობას წლიური პროგრამის შესრულების შესახებ ტულელი თოფ-იარაღის ქარხნათა მუშების მიერ და აბარებს ყრილობას ტულელთა მთელ რიგ საჩუქრებს: სამოვრებს, ჩახმახიან და უჩახმახო წვრილკალიბრიან შაშხანებს, საბრძოლო სამხაზიან და ახალ სანადირო შაშხანებს, ტყვიამფრქვევს და საბჭოთა კავშირის გერბს. საუკეთესო სანადირო შაშხანას ამხ. ლეონოვი აბარებს თავმჯდომარეს ამხ. პეტროვსკის ამხანაგ სტალინისათვის გადასაცემად. ყრილობა ფეხზე მდგომარე ღებულობს ამ საჩუქრებს, გრიალებს ტაში.

ამხ. ლეონოვი ამთავრებს თავის სიტყვას და დღეგრძელობას უსურვებს დიდ სტალინს. დარბაზში ძლიერ გაისმის მხურვალე ტაში. შეძახილები: „ვაშა“, „გაუმარჯოს მშობლიურ, საყვარელ სტალინს!“

28 ნოემბრის დილის სხდომა

ყრილობის 28 ნოემბრის დილის სხდომაზე ამხანაგ სტალინის მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: **ამხ. ა. რ. რახიმბაევი** (ტაჯიკისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარე), **ამხ. ვ. მ. ორლოვი** (მუშურ-გლეხური წითელი არმიის საზღვაო ძალთა უფროსი, ფლოტის პირველი რანგის ფლაგმანი), **ამხ. ჰუსეინ რახმანოვი** (აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე), **ამხ. ს. ვ. კოსიორი** (უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი), **ამხ. კისელი** (მინსკის საფეიქრო ფაბრიკა „ოქტიაბრის“ ორდენოსანი სტახანოველი), **ამხ. ბოგდანოვი** (ოქტომბრის რკინიგზის ორდენოსანი მემანქანე), **ამხ. აბრამოვი** (თათართა ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე), **ამხ. ვეინბერგი** (საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი).

ԼՐԱՑԱՎ ՅԵՂԲԱՅՐԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ 16-ՐԴ ՓԱՌԱՊԱՆԾ ՏԱՐԻՆ

მოძმე საბჭოთა სომხეთს თექვსმეტი სახელოვანი წელი შეუსრულდა!



ერევანი.—სინთეტიკური კაუჩუკის კომბინატის სტახანოველთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა სახლი აზიზბეკოვის ქუჩაზე.

მისალმებანი

სომხეთის სსრ ცენტრ. აღმ. კომიტეტი — ამხანაგ
ანესოგლიანს
სომხეთის სსრ სახკომსაბჭო — ამხანაგ გულოიანს
სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ. — ამხანაგ ამატუნის

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი და ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ მოულოცავენ სომხეთის მშრომელთ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეთექვსმეტე წლისთავს.

ჩამოიგდეს რა იმპერიალიზმის მოსყიდულ აგენტთა — დაშნაკთა საძულველი უღელი, სომხეთის მშრომელებმა ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ ოჯახში, ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ხელმძღვანელობით, მიაღწიეს უდიდეს გამარჯვებებს სოციალიზმის გამარჯვების საქმეში.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით სომხეთის ბოლშევიკებმა გაალამტვრეს ხალხის უბოროტესი მტრები, დაშნაკთა ნაბოლარები — ბურჟუაზიული ნაციონალისტები, კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ-ზინოვიეველები, ეს საზიზღარი ბანდიტები, ფაშისტური ჯაშუშები და დივერსანტები, და უზრუნველჰყვეს სომეხი ხალხის ერთიანობა და შემჭიდროება დიდი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, დიდი სტალინის გარშემო.

სომხეთის მშრომელნი, ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის დიადი დროშის ერთგულნი, ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, სსრ კავშირის ხალხთა ერთ მძლავრ ოჯახში მტკიცედ წავლენ კომუნიზმის ახალ-ახალ გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა საყვარელ ბელადს — დიდ სტალინს!

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახკომსაბჭო.
საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი

* * *

სომხეთის სსრ ცენტრ. აღმ. კომიტეტი — ამხანაგ
ანესოგლიანს
სომხეთის სსრ სახკომსაბჭო — ამხანაგ გულოიანს
სომხეთის კ.პ. (ბ) ც. კ. — ამხანაგ ამატუნის

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეთექვსმეტე წლისთავზე საქ. კ.პ. (ბ) ც. კ. და საქართველოს სსრ სახკომსაბჭო მხურვალე სალამს უთვლიან სომხეთის ბოლშევიკებსა და ყველა მშრომელს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის თექვსმეტი წლის მანძილზე სომხეთის მშრომელებმა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის პირადი მზრუნველობითა და დახმარებით, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან ძმური თანამშრომლობით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

სომხეთის ბოლშევიკებმა საკ. კ. პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით გაანადგურეს სოციალიზმის ყველა მტრები — დაშნაკები და მათი აგენტები — სომეხი ნაციონალისტები, კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ-ზინოვიეველები, ეს საზიზღარი ტერორისტები, დივერსანტები, მავნებლები და ფაშისტური ოხრანკის ჯაშუშები.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეთექვსმეტე წლისთავი ემთხვევა ისტორიულ თარიღს — მიღებას ახალი სტალინური კონსტიტუციისას, გამარჯვებული სოციალიზმის უდიდესი დოკუმენტისას, რომლის საფუძველზე საბჭოთა სომხეთის მშრომელნი, რჩებიან რა ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ერთგულნი, წავლენ წინ ახალი, უფრო დიდი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიდ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა დიად მეგობრობას!

გაუმარჯოს ხალხთა ბელადს დიდ სტალინს!

საქართველოს სსრ სახკომსაბჭო
საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.

> მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების იდეამ მოუტანა სომხეთს მშვიდობიანობა და ნაციონალური განახლების შესაძლებლობა. დაე იცოდეს ყველამ, ვისაც ეს შეეხება, რომ სომხეთის ეგრეთწოდებული „პრობლემის" გადაჭრა, რომელზედაც ამაოდ იმტვრევდნენ თავს იმპერიალისტური დიპლომატიის ძველი მგლები, შესძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ.
>
> ი. სტალინი

განახლებული ერევანი

ს. მარკოზაშვილი

აი უკვე რამდენიმე დღეა საბჭოთა სომხეთის დედაქალაქში — ერევანში ვცხოვრობთ. ჩვენ გაზეთების კორესპონდენტები ვართ, ჩამოსული საბჭოების ყრილობაზე.

ყველა ჩვენგანი აღსავსეა მკაფიო შთაბეჭდილებებით. უკან დარჩა მზიანი საქართველოს დედაქალაქის — თბილისის პარკები და ხეივნები საზღაპროდ ლამაზ საქართველოს სამხედრო გზა, მყინვარწვერი თავისი წყალვარდნილებით.

ვეცნობით ერევანს. ჩვენი მხლებლები თავის ქალაქზე ლაპარაკობენ შვილის სიყვარულით და სინაზით.

უდიდესი მიღწევებით ხვდება ერევანი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 16 წლისთავს. უპირველეს ყოვლისა აქ გვაკვირვებს მშენებლობის გაქანება. რევოლუციამდე ერევანი მიყრუებული პროვინციალური ქალაქი იყო.

ახლა აქ ბევრი შესანიშნავი ფაბრიკა-ქარხანაა, რომლებიც საბჭოთა სომხეთის დედაქალაქის სიამაყეს წარმოადგენენ.

უკანასკნელ წლებში ერევანს შემატა მთელი რიგი მსხვილი არქიტექტურული ნაგებობა. ანგრევენ ძველ შენობებს, ქალაქის შუაგულში დაუნგრევიათ მთელი კვარტალი და ძველი მოგრეხილი ღუქნების ადგილას აშენებენ უზარმაზარ მოედანს, რომელსაც მალე ასფალტით მორთავენ. ცოტა იქით გაუშენებიათ მშვენიერი პარკი.

სამრეწველო მშენებლობასთან ერთად ფართოდ განვითარდა კულტურული მშენებლობა.

თუ 1923 წელს ერევანში იყო 274 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობისა, მარტო შარშან ერევნის ბოლშევიკებმა ქალაქის მთელი მშრომელი მოსახლეობის უდიდესი ენთუზიაზმითა და დახმარებით ააგეს ახალი სახლები 36.184 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით.

ათი წლის მშენებლობის შედეგად საბინაო ფონდი ამჟამად 600 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს.

ბედნიერად და მხიარულად ცხოვრობენ და სწავლობენ ერევნის მშრომელთა ბავშვები. 17 სკოლის ნაცვლად ამჟამად ქალაქში 42 სკოლაა, გარდა უმაღლესი სასწავლებლებისა, ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური სასწავლებლებისა. სკოლების რიცხვის გადიდებასთან ერთად იზრდება მოსწავლეთა რიცხვიც. თუ 1930-31 წლებში სკოლებში ირიცხებოდა 9.800 მოწაფე, ახლა სკოლებში 32 ათასი ბავშვი სწავლობს.

ფართოდ განვითარდა საბავშვო ბაგების და სახლების მშენებლობა. 5 ათასი ბავშვია ჩაბმული 73 საბავშვო ბაღში.

უდიდესი ყურადღება ექცევა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. საბჭოთა სომხეთის დედაქალაქი წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქალაქია.

პროლეტარული რევოლუციის წლებში წარმოიშვა ქვების და სამკერვალო მრეწველობა, შენდება სინთეტიკური კაუჩუკის კომბინატი, რომელიც ყველაზე დიდი იქნება საბჭოთა კავშირში, ამ დღეებში ამუშავდება კანაკირის მძლავრი ჰიდროელექტროსადგური. თუ ერევნის მრეწველობამ 1914 წელს მოგვცა 847.000 მანეთის პროდუქცია, ხოლო 1926 წელს 7 მილიონი მანეთისა, 1935 წელს ერევნის მრეწველობამ უკვე 65 მილიონი მანეთის პროდუქცია მოგვცა. წლიურ პროდუქცია მნიშვნელოვნად იზრდება; 1937 წელს კი მთელ რიგ ახალ საწარმოების ამუშავების შემდეგ ერევანი გახდება მოწინავე ინდუსტრიის ქალაქად და პროდუქციის ღირებულება 100 მილიონ მანეთს გადააჭარბებს.

ქალაქის კომუნალურმა მეურნეობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ.

ერევანს ამჟამად მშვენიერი საქალაქო ტრანსპორტი აქვს. ეს ტრანსპორტი ტრამვაისა და ავტობუსებისაგან შესდგება. კანალიზაციის საერთო სიგრძე 19 კილომეტრს უდრის. დიდი წარმატებებია აგრეთვე მიღწეული წყალსადენის მშენებლობის დარგში. წყალსადენის საერთო სიგრძე 53 კილომეტრს აღწევს. მარტო გასული წლის განმავლობაში წყალსადენმა მშრომელებს მისცა 21 მილიონი კუბომეტრი სუფთა, გემრიელი წყალი.

დაწყებულია და ფართოდ ვითარდება ქუჩების მოასფალტება. დღემდე ასფალტი დაგებულია 25 ათას კვადრატულ მეტრზე.

დიდი მუშაობა სწარმოებს გამწვანების დარგში. საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავები ქალაქში ჯერჯერობით 18 ჰექტარს შეადგენს.

მესამე წელია რაც მუშაობს ერევნის ტრამვაი. მიმდინარე წლის იანვრიდან პირველ ნოემბრამდე ტრამვაით ისარგებლა 23 მილიონმა კაცმა. ტრამვაის საერთო შემოსავალი 3.800.000 მანეთს უდრის. წელს ტრამვაის ხაზი გაგრძელებული იქნება 7 კილომეტრით.

კიდევ ბევრი სხვა სამუშაო სწარმოებს, რომლებმაც სახე უნდა შეუცვალონ ქალაქს. ერევნის მომავალი — ეს ბუნებრივი სილამაზის და არქიტექტურულ გაქანებასთან შეფარდებაა.

მრავალი წლის განმავლობაში გმინავდა ერევანი რუსეთის თვითმპყრობელობის უღლის ქვეშ. ის იყო ვიწრო და მოგრეხილი ქუჩების, აღმოსავლური ეგზოტიკის ქალაქი... არ შეცვლილა მისი სახე დაშნაკების სისხლიანი ბატონობის დროსაც, პირიქით, რაც ღირსშესანიშნავი იყო, ისიც გაპარტახდა.

მხოლოდ ახლა, ბოლშევიკების მზრუნველი ხელით მიიღო ერევანმა თავისი ნამდვილი, სოციალისტური განახლება.

◇ ◇ ◇

სინთეტიკური კაუჩუკი

ერევნის კომბინატი

კაუჩუკი — მცენარის პროდუქტია, რომელიც რეზინის დამზადებისათვის იხმარება. კაუჩუკი გამოიყოფა რძის სახით კაუჩუკის შემცველი ხეების ქერქის გაჭრისას. ეს ხეები ცხელ ქვეყნებში იზრდებიან. მაგრამ ბუნებრივი კაუჩუკი ვერ აკმაყოფილებს რეზინის მრეწველობის მთელ მოთხოვნილებას.

სინთეტიკური, ანდა ხელოვნური კაუჩუკის პრობლემა პირველად გერმანიაში წამოიჭრა იმპერიალისტური ომის დროს, როდესაც ორი ათას ტონამდე სინთეტიკური კაუჩუკი დაამზადეს. მაგრამ გერმანელების მიერ შემუშავებული მეთოდი უვარგისი აღმოჩნდა. ეს პრობლემა გადაწყდა ჩვენში, საბჭოთა კავშირში. ახლო ხანში ერევანში ამუშავდება მძლავრი კომბინატი. ეს საბჭოთა კავშირის შესანიშნავი მიღწევაა, რომლითაც ჩვენ წინ გავუსწარით ამერიკასაც კი. ახლა ჩვენ დამოკიდებული არა ვართ ამ ძვირფასი პროდუქტის იმპორტისაგან და თვითონ ვამზადებთ რეზინას.

სინთეტიკური კაუჩუკის გამძლეობა ძალიან დიდია: ავტომობილების [illegible] უძლებენ 20 ათასი კილომეტრის გარბენას; კალოშები და რეზინანარევი ქსოვილები არ ჩამოუვარდება ბუნებრივი კაუჩუკისაგან დამზადებულს.

1936 წელს სინთეტიკური კაუჩუკის წარმოება საბჭოთა კავშირში ძალიან გაიზარდა.

პირველი და მეორე ხუთწლედის განმავლობაში სომხეთში შეიქმნა და ფართოდ განვითარდა ქიმიური მრეწველობა, რომელიც რესპუბლიკის მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის წამყვან დარგად ხდება.

აგებულია და შენდება კიროვაკანის ქიმიური კომბინატი, ალავერდისა და ერევნის კარბიდის ქარხნები, სინთეტიკური კაუჩუკის კომბინატი კიროვის სახელობისა.

სინთეტიკური კაუჩუკის კომბინატი სამი წელიწადია რაც შენდება. ამ ხნის განმავლობაში დიდი მუშაობაა შესრულებული. აგებულია კარბიდის ქარხანა, შენდება არაორგანული ქიმიის ქარხნები, ორგანული ქიმიის ქარხნები, კომბინატის ენერგეტიკული მეურნეობა, გაყვანილია რკინიგზები, გზატკეცილები, წყალსადენი, კანალიზაცია, სარემონტო ქარხანა, ხის დამამუშავებელი სახელოსნო და სხვ.

სინთეტიკური კაუჩუკის კომბინატის მშენებლობა სევან-ზანგის ჰიდროსადგურების კასკადის მშენებლობასთან ერთად უდიდესი სკოლაა, რომელიც ამზადებს და ზრდის ინდუსტრიული მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ახალ კადრებს.

სინთეტიკური კაუჩუკის კომბინატის პირველი რიგი ამუშავდება 1937 წლის პირველ ნახევარში, ხოლო მთელი კომბინატი 1938 წლის დასაწყისში. მშენებლები სიტყვას იძლევიან, რომ ეს ვადები დაცული იქნება.

ა. ვეორსოხოვი

ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკის სტახანოველი ორდენოსანი ამხ. აბრამიანი.

გამარჯვებათა წლები

საბჭოთა სომხეთის მშრომელნი უდიდესი მიღწევებით ხვდებიან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 16 წლის თავს.

ეს მიღწევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში.

რესპუბლიკაში შექმნილია სოციალისტური მრეწველობა. 16 წლის განმავლობაში მისი პროდუქცია გაიზარდა 83-ჯერ და შეუჩერებლივ განაგრძობს ზრდას. შენდება ახალი გიგანტები, მაგ., სინთეტიკური კაუჩუკის კომბინატი, რომელიც მალე მოგვცემს თავის პროდუქციას. ძირითადად დამთავრებულია კანაკირჰესის მშენებლობა. მთელი დატვირთვით მუშაობენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აგებული ახალი ქარხნები.

იზრდებიან რესპუბლიკის ქალაქები.

სკოლების, კლუბების, ქოხ-სამკითხველოების, წითელი კუთხეების, საბავშვო ბაგების, საავადმყოფოების მჭიდრო ქსელით დაიფარა სომხეთი.

დაქსაქსულ წვრილ გლეხურ მეურნეობათა ნაცვლად, 1936 წლის პირველი ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 160.034 მეურნეობა, რაც უდრის 85,4 პროც.

იზრდება მოსავლიანობა. მაგალითად, 1933 წელს თუ ერთ ჰექტარზე აღებულ იქნა 5,1 ცენტნერი ბამბა, მიმდინარე წელს ბამბის მოსავალი ჰექტარზე შეადგენდა 11 ცენტნერს, შაქრის ჭარხალს 32,6 ცენტნერის ნაცვლად ერთი ჰექტარიდან ამჟამად იღებენ საშუალოდ 172,1 ცენტნერს. შესამჩნევია აგრეთვე სხვა კულტურების მოსავლიანობის ზრდაც.

საბჭოთა სომხეთის სოციალისტურ მინდვრებზე რომელთაც წინათ არ იცოდნენ თვით უბრალო სასოფლო-სამეურნეო მანქანებიც კი, ამჟამად მუშაობს 60 კომბაინი, 891 ტრაქტორი 14.209 ცხენის ძალის საერთო სიმძლავრისა და 22 სარემონტო მოწყობილი სამანქანო - სატრაქტორო სადგური.

საბჭოთა სომხეთის საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობენ ორდენოსანი ტრაქტორისტები და კომბაინერები: გურგენ მარჯანიანი, სპირიდონ თოფიანი, პოღოსიანი, ღარიბიანი და სხვ.

მეცხოველეობის დარგში სომხეთს ჰყავს 15 ორდენოსანი.

მეცხოველეობა სომხეთში უკანასკნელი წლების მანძილზე სწრაფად ვითარდება. მარტო 1934-35 წლების განმავლობაში პირუტყვის სულადობა გაიზარდა 500 ათასით. მოწყობილია საკოლმეურნეო ფერმები.

სოციალისტური მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე იზრდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა.

ათეული და ასეული კოლმეურნეები გამომუშავებული შრომადღეებისათვის ღებულობენ 10 ფუთზე მეტ კარაქს და 15—20 ფუთ ყველს. არიან კოლმეურნეები, რომლებმაც მიიღეს 20 ფუთი კარაქი და 30 ფუთი ყველი.

725.100 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 1.299.500 წვრილფეხა პირუტყვი, 75 ათასამდე ღორი და 48.800 ცხენი — აი პირუტყვი, რომელიც ჰყავს დღეს საბჭოთა სომხეთს.

ყოველწლიურად ფართოვდება მევენახეობისა და მეხილეობის ბაღები. დღეისათვის სომხეთში 13.652 ჰექტარი ვენახი და 11.375 ჰექტარი ხილის ბაღია. ჩატარებულია წყალთა მეურნეობის უდიდესი სამუშაოები.

1936 წელს ფაქტიურად მორწყული ფართობი შეადგენს 168.864 ჰექტარს, ნაცვლად 1921 წლის 14.344 ჰექტარისა.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა თავიანთი ინიციატივით ჩაატარეს წვრილი საირიგაციო სამუშაოები, რომლებმაც ქვეყანას მისცეს 12.900 ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობი.

ეს მიღწევები პირდაპირი შედეგია ლენინ-სტალინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკისა, შედეგია ამიერ-კავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობისა. ამ წარმატებებში უდიდესი როლი ეკუთვნის ამიერ-კავკასიის ფედერაციის და საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობას საუკეთესო სტალინელის ამხ. ლ. პ. ბერიას მეთაურობით.

ალ. ხოსროევი.

ქ. კორლანოვი

სევან-ქანაქირჰეს-გუმუშჰესი

ზღვის დონიდან ექვსი ათასი ფუტის სიმაღლეზე გადაჭიმულა სევანის ტბა.

ის ყოველი მხრიდან ქედებით არის გარშემორტყმული.

ალმაგანის თოვლით დაფარული მწვერვალები და გიუნეის მთაგრეხილის კლდოვანი კალთები დარაჯობენ სევანის მქუხარე ტალღებს.

და მხოლოდ ტბის ჩრდილოეთ კუთხეში, ელენოვკის ახლოს იხევენ უკან მთები და ვიწრო ხეობაში ძალუმად მოჩქეფს ტბიდან გამომდინარე ზანგა.

გზადაგზა ზანგას ერთვის მრავალი [illegible] თანდათან მოზრდილ მდინარედ ხდება და ქუხილით ეშვება სევანის სიმაღლეებიდან არარატის დაბლობზე, საბჭოთა სომხეთის დედაქალაქ ერევნისაკენ. არარატის ველზე ზანგა რწყავს ბამბისა და ბრინჯის ნათესებს, ერევნის ცნობილ ვენახებს. შემდეგ ის მდ. არაქსს უერთდება.

ზანგას გასწვრივ მდებარეობს ათეული სოფელი.

ხალხურმა ზეპირგადმოცემამ ზანგას ირგვლივ მრავალი ლეგენდა თქმულება და სიმღერა შექმნა ცნობილი სომხური ხალხური სიმღერა „ლე-ლე", რომელიც თანსდევს მიწის მუშისა და მწყემსის შრომას და [illegible] ხალხურ დღესასწაულობზე, სწორედ ზანგას ამ ვიწრო ხეობაში წარმოიშვა.

ეს ხალხური მოტივები, ზოგჯერ სევდიანი, ზოგჯერ კი მთიულთა მხურვალე ტემპერამენტის გამომხატველი, კვალდაკვალ მისდევს ზანგას. იქაც კი, სადაც ზანგა [illegible] ქედების კლდეებს [illegible] დაბლობზე გაიშლება, „ლე-ლე" ჟამიც არ სტოვებს მას, ის მძლავრად ჟღერს ბაღებსა და ვენახებში.

საუკუნეობით მოაგორებდა თავის ტალღებს სევანის მწვერვალებიდან ზანგა, საუკუნეობით უმღეროდა მშრომელი ხალხი „ლე-ლეს" თავის მინდვრებს, ვენახებსა და ცხვარს.

სურათი მკვეთრად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ზანგა უკვე აღარ არის პატრიარქალური, ჩამორჩენილი სოფლის არტერია. ის სომხეთის სამრეწველო მშენებლობაში დიდ როლს თამაშობს. უკვე ათ წელზე მეტია ზანგა ენერგიას აწვდის ერევნის ჰიდროსადგურებს, რომლებიც სომხეთის მნიშვნელოვან ინდუსტრიულ კერებს ჰკვებავენ. ეს კერებია საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებული ხის დამმუშავებელი, საკონსერვო, კარბიდის ქარხნები, თამბაქოს ფაბრიკა, სამკერვალო ფაბრიკა და სხვ.

საბჭოთა სომხეთის გაუგონარი აღმავლობის პირობებში წარმოიშვა მდინარე ზანგაზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის აგების პროექტი. ასეთი კასკადი პირველია ამიერ-კავკასიაში.

1933 წლის დასაწყისში პროექტი განიხილეს უმაღლესმა ორგანიზაციებმა. მაშინვე მოიწონეს და დაამტკიცეს. ამჟამად ის ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია. ერევნის ახლოს მდინარე ზანგაზე აგებულია კანაკირის ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგი და დაწყებულია გუმუშის ჰიდროსადგურის მშენებლობა. მდ. ზანგაზე აგებული იქნება სულ 9 ელექტროსადგური.



ერევანი. სომხეთის კინომრეწველობის ახალი ხმოვანი კინოთეატრი, რომელიც უდიდესია ამიერ-კავკასიაში. შენობაში ორი დარბაზია, თითოეული 1000 ადგილით. კინოთეატრი იხსნება დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 16 წლისთავზე.

ფოტო „სოიუზფოტოს"

ზანგაზე ჰიდროსადგურების ქსელის აგების აზრი ფრიად მარტივია. კასკადის ერთერთმა შემქმნელმა ინჟინერმა მეიერმა ის შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „სევანი — ეს წყლით სავსე უზარმაზარი აუზია, რომელიც დიდ სიმაღლეზე მდებარეობს. თუ გავათანაბრებთ და გავაღრმავებთ ზანგას, ჩვენ შეგვიძლიან ამ აუზიდან გამოვუშვათ იმდენი წყალი, რამდენიც გვესაჭიროება ენერგეტიკისა და მორწყვის მიზნებისათვის".

სევანის ტბა, რომელიც ძალიან მაღლა მდებარეობს და 58 მილიარდი კუბიკური მეტრის ტევადობისაა, მოუწესრიგებელი ენერგიის განსაკუთრებულ წყაროს წარმოადგენს.

შემდგომი ჰიდროსადგურების აგებასთან ერთად წყლის საჭიროება გაიზრდება, ამიტომ საჭირო იქნება წყლის თანდათანობით გამოშვება ტბიდან. წყალი ტბიდან გამოვა მიწისქვეშა გვირაბის საშუალებით. სწორედ ამ გვირაბით შეიძლება გამოვუშვათ ტბიდან წყლის რა რაოდენობაც გვინდა.

ტექნიკის ისტორიამ უკვე იცის დიდ სიმაღლეებზე მდებარე ტბების დონის შემცირების შემთხვევები. საფრანგეთის, შვეიცარიის, იტალიის ტბების დონეს თანდათან ამცირებდნენ ათ მეტრამდე. ანალოგიურად არის დაპროექტებული სევანის ტბის შემცირებაც. ფსკერი გვირაბისა, საიდანაც უნდა იდინოს წყალმა სევანის ტბიდან, 58 მეტრით უფრო დაბლაა, ვიდრე ტბის დონე.

კასკადის აგების პროექტი შედგენილია ისე, რომ სავსებით გამოყენებული იქნება მთელი წნევა სევანის ტბიდან იმ ადგილამდე, სადაც ზანგა დაბლობზე გაიშლება. წყალი, რომელიც აამუშავებს ჰიდროსადგურის ტურბინებს, შედის პირდაპირ კასკადის ქვედა საფეხურის არხში.

კანაკირის ჰიდროსადგური მოითხოვს სევანის პოტენციური ენერგიის 15 პროცენტის გამოშვებას. გუმუშის ჰიდროსადგურის ამუშავების შემდეგ საჭირო იქნება სევანის წყლის საუკუნეობრივი მარაგის 50 პროც. გამოშვება.

იმ დროისათვის, როდესაც მზად იქნება კასკადის ყველა ჰიდროსადგური, წყლის დონე სევანში მნიშვნელოვნად შემცირდება. ტბის ნაწილი, ეგრეთწოდებული დიდი სევანი, სრულიად გაქრება.

აამუშავებს რა ჰიდროსადგურების ტურბინებს, ზანგა გაიჭრება არარატის ველზე და მორწყავს ათეულ ათას ჰექტარ ახალ მიწას. პროექტის თანახმად, განზრახულია 80 ათასი ჰექტარის მორწყვა სარდარაბადის ველზე და 50 ათასი ჰექტარისა ერევნის მახლობლად. აქ მოიპოვება ეგრეთწოდებული „ქარი", ფრიად ნოყიერი მიწა, რომელზედაც შეიძლება ბაღებისა და ვენახების გაშენება.

ასეთია სევან-ზანგის კასკადის საერთო სქემა. აკადემიკოსმა გრაფტიომ, რომელმაც შეამოწმა კასკადის პროექტი, განაცხადა: „სევან-ენერგეტიკის მარგალიტია". სევანის კასკადის პროექტი შედგენილია ერევანში ორდენოსან ინჟინერ ი. ტერ-ასტვაცატურიანის საერთო ხელმძღვანელობით.

* * *

კანაკირჰესის პირველი რიგი უკვე მუშაობას იწყებს. უახლოეს დღეებში ის ენერგიას მისცემს სინთეტიკური კაუჩუკის ერევნის კომბინატის ერთერთ რგოლს და აამუშავებს კარბიდის უზარმაზარი ქარხნის კირის ღუმელებს.

კანაკირჰესის საერთო სიმძლავრეა—88 ათასი კილოვატი. კლდოვან ხეობაში, ერევნიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, მთელი ქალაქი წარმოიშვა. გაყვანილია ათეული კილომეტრი ახალი გზატკეცილები, აგებულია საერთო საცხოვრებლები. გათხრილია უზარმაზარი არხი 12 კილომეტრის სიგრძისა, რომლითაც ზანგა თავის წყალს ჰიდროსადგურის ტურბინებს აწვდის.

კანაკირჰესის ტურბინები და მთელი მოწყობილობა საბჭოთა წარმოშობისაა და დამზადებულია მოსკოვის, ლენინგრადისა და ხარკოვის ქარხნებში.

კანაკირჰესი ამ დღეებში დაათვალიერა ჰიდროენერგომშენებლობის მთავარ სამმართველოს უფროსმა აკადემიკოსმა ვინტერმა, რომელმაც განაცხადა: „კანაკირჰესის მთელი მოწყობილობა დამზადებულია მაღალხარისხოვნად და მშენებლობა საუცხოო შთაბეჭდილებას ახდენს. ამ თვალსაზრისით მას შეუძლიან პირველი ადგილი დაიკავოს საბჭოთა კავშირშიც და უცხოეთის სათანადო ნაგებობათა შორისაც".

მოთავდა თუ არა მუშაობა კანაკირჰესზე, მშენებელთა არმია დაიძრა ზევით — სევანისაკენ, იმ ადგილისაკენ, სადაც აგებული იქნება კასკადის მეორე საფეხური — გუმუშჰესი. ეს იქნება კასკადის ერთერთი ყველაზე დიდი რგოლი. მისი სიმძლავრე 260 ათას კილოვატს უდრის, რაც თითქმის სამჯერ მეტია, ვიდრე კანაკირჰესის სიმძლავრე. გუმუშჰესის აგებისათვის საჭიროა მისასვლელი რკინიგზის გაყვანა. ეს გზა 60 კილომეტრის მანძილზე უკვე შენდება. ამ გზის 15 კილომეტრი ერევანკანაკირი უკვე მზად არის.

კასკადის მშენებლობის საერთო ხელმძღვანელია ძორაჰესის და კანაკირჰესის პროექტების ავტორი ინჟინერი ტერ-ასტვაცატურიანი. მშენებლობაზე მუშაობს ათეული ახალგაზრდა ინჟინერი, რომლებმაც საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს და თავისი კვალიფიკაცია საბჭოთა სომხეთის ელექტროფიკაციისათვის ბრძოლაში გამოსცადეს. ზოგიერთ მათგანს წილად ხვდა ბედნიერება მოხვედრილიყო საბჭოთა სომხეთის დელეგაციაში, რომელიც გასაბჭოების 15 წლისთავზე კრემლში მიიღო ხალხთა გენიალურმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა. სახელები ისეთი ინჟინრებისა, როგორიც არიან ორდენოსანი აღაბაბიანი, კონსტანტინე ზურაბიანი, ჯრაკიანი, ოჰანესიანი სამუდამოდ შევიდა სომხეთის ელექტროფიკაციის ისტორიაში — ცნობილია მშრომელთა ფართო მასებისათვის.

ზანგის ხეობაში ძველად სიცოცხლე შემოდგომის დასაწყისიდანვე სწყდებოდა. მოდიოდა თოვლი და გაზაფხულის დადგომამდე მისწყდებოდა ხმაურობა მინდვრებზე. მხოლოდ ხანდახან გაიგონებდა კაცი შორიდან „ლე-ლეს", რომელსაც დაგვიანებული მგზავრი იმღეროდა.

ასე ცხოვრობდა სევან-ზანგის რაიონი საუკუნეების მანძილზე. მაგრამ უკვე მეხუთე წელია ზანგას ვეღარ იცნობთ. ხეობა ავსილია სიხალისით და სიცოცხლით. ზამთარ-ზაფხულ გრგვინავს აფეთქების ხმა და ჭექა-ქუხილით ინგრევიან კლდეები. გზებზე გაბმულია მშენებლობის მასალებით დატვირთული ასეული ურემი, ფურგონი, ავტომობილი.

და როდესაც ზანგას ხეობაში [illegible] ჩამოწვება, მთელ მანძილზე ციმციმებენ კანაკირის ჰიდროსადგურის ელნათურები. მძლავრად ჟღერს კანაკირჰესის მშენებელთა [illegible] სიმღერა, რომელმაც „ლე-ლე" [illegible] შეცვალა.

მადრიდის ფრონტებზე

მადრიდის ფრონტზე სიწყნარეა

პარიზი, 27 ნოემბერი (საქდესი). მადრიდის დაცვის კომიტეტმა დღეს შუადღისას გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში მადრიდის ფრონტის პოზიციებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა, გარდა კარაბანჩელის სექტორისა. აქ მთავრობის ჯარებმა დაიკავეს მთელი რიგი სახლები, რომლებიდანაც მეამბოხენი განდევნეს.

მთავრობის ჯარების კოლონა, რომელიც მდინარე ტახოს ფრონტზე მოქმედებს, განაგრძობს წინსვლას ტალავერის მიმართულებით და არ ხვდება სერიოზულ წინააღმდეგობას".

მეამბოხეთა უდიდესი ზარალი მადრიდის ფრონტზე

პარიზი, 27 ნოემბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება:

„გუშინ გარიჟრაჟზე მეამბოხეებს იერიში მიჰქონდათ ბარიო დე უსერაში (კარაბანჩელის გზაზე), კაზა დელ კამპოში, ფრანგულ ხიდთან და საუნივერსიტეტო უბნის რაიონში. ბარიო დე უსერაში მეამბოხენი იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ, მათ მიატოვეს თავისი თავდაპირველი პოზიციები კარაბანჩელის ზონაში და დასტოვეს მთელი რიგი სახლები, რომლებიდან ისინი განდევნილ იქნენ. კაზა დელ კამპოში მეამბოხეებმა დიდი ზარალი განიცადეს. მთავრობის ჯარებმა ხელთ იგდეს 3 ტანკი და მწყობრიდან გამოიყვანეს 4 ტანკი.

ინტერნაციონალური ბრიგადის კომისარმა ჟაკემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მეამბოხენი იძულებული იყვნენ უდიდესი ზარალით დაეტოვებინათ თავისი პოზიციები საუნივერსიტეტო უბანში".

მთავრობის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მტრის აეროდრომს

ვალენსია, 26 ნოემბერი (საქდესი). ავიაციისა და საზღვაო ფლოტის სამინისტროს ცნობაში იუწყებიან, რომ გუშინ რესპუბლიკელთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მტრის აეროდრომს ტალავერის დასავლეთით, სადაც იმ დროის იმყოფებოდა იტალიის 4 ყუმბარმტყორცნი. ყველა ყუმბარა მოხვდა იმ ადგილს, სადაც ყუმბარმტყორცნები იმყოფებოდნენ.

რესპუბლიკელთა ავიაცია გუშინ განუწყვეტლივ ახდენდა სადაზვერვო გაფრენებს მადრიდ-ტოლედოს [illegible] ნახევარს. მადრიდის თავზე მტრის 8 „იუნკერსის" და 20 გამანადგურებლის გამოჩენის გამო, აფრინდა რესპუბლიკელთა 31 გამანადგურებელი. მაგრამ, მტრის ავიაციამ ბრძოლა არ მიიღო. შემდეგ მადრიდის თავზე გამოჩნდა რამდენიმე „იუნკერსი" და ორი „კაპრონი". ყველა მათ შეუტიეს რესპუბლიკელთა გამანადგურებლებმა, რომლებმაც მტრის თვითმფრინავებს ხელი შეუშალეს ყუმბარები დაეშინათ ქალაქისათვის. ამასთან ჩამოგდებული იქნა ერთი „იუნკერსი", რომელიც, ალბათ, ჩამოვარდა რაიონში კაზა დელ კამპოსა და ქუატრო ვიენტოს შორის. რესპუბლიკელთა ყველა თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზებში.

გენ. კლებერი ესპანეთის მთავრობის ჯარების მორალური მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 27 ნოემბერი (საქდესი). „ნიუს ქრონიკლის" მადრიდელი კორესპონდენტი აქვეყნებს საუბარს გენერალ კლებერთან, იმ ინტერნაციონალური კოლონის სარდალთან, რომელიც იბრძვის ფაშისტ მეამბოხეთა წინააღმდეგ. კლებერმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ფრანკო სამი კვირის წინათ მოუახლოვდა მადრიდის მიდამოებს, მთავრობის ჯარების მორალური მდგომარეობა ყოველდღე უმჯობესდება. კლებერმა აღნიშნა, ესპანელები — საუცხოო მებრძოლები არიან. წინათ მთავრობის ჯარებს აკლდათ ორგანიზაცია და არ ჰყოფნიდათ მეთაურთა შემადგენლობა, მაგრამ ახლა ერთიც არის და მეორეც. ამავე დროს მეამბოხეთა ჯარების სოლიდური განწყობილება ეცემა. „ჩვენ მოგვეპოვება, — განაგრძობდა კლებერი, — ამ ფაქტის გარკვეული დამამტკიცებელი საბუთები. მაგალითად, უკანასკნელ დღეებში 20 მაროკოელი გადმოვიდა მთავრობის ჯარების მხარეზე და ახლა ჩვენს რიგებში იბრძვის. მეამბოხეებმა მძიმე ზარალი განიცადეს. ტელმანის სახელობის ათასეულის მებრძოლებმა, მას შემდეგ, რაც 25 ნოემბერს ბრძოლა დაიწყო, დასთვალეს 300 გვამი იმ უბანზე, რომელზედაც ისინი შეტევაზე გადადიოდნენ, ეს მხოლოდ ერთ რაიონში. ეს დიდი ზარალია ისეთი მტრისათვის, რომელსაც, არსებული ცნობებით, მადრიდის ფრონტზე სულ 30 ათასი კაცი ჰყავს. ყოველი დღე, როდესაც ჩვენ მათ წინსვლის საშუალებას არ ვაძლევთ, ჩვენს მდგომარეობას აუმჯობესებს და მტერს ასუსტებს".

◇ ◇ ◇

ახალი შეტაკება საბჭოთა კავშირ-მანჯურიის საზღვარზე

ხაბაროვსკი, 27 ნოემბერი (საქდესი). გუშინ, 26 ნოემბერს, დილის 10 საათზე ადგილობრივი დროით, ჩვენმა მესაზღვრე მზვერავებმა ტური როგის რაიონში, ხანკას ტბასთან, საზღვრის შემოვლის დროს, საბჭოთა ტერიტორიაზე, საზღვრის ხაზიდან ერთი კილომეტრის დაშორებით აღმოაჩინეს იაპონიის ჯარისკაცთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელმაც სროლა დაიწყო. საზღვრის დამრღვევები გაიქცნენ და ჩვენს ტერიტორიაზე დასტოვეს ერთი მოკლული. ამის შემდეგ იაპონელ-მანჯურელთა რამდენიმე ჯგუფმა თავი მოიყარა საზღვრის ამ უბანზე და ინტენსიური სროლა აუტეხა ჩვენი ტერიტორიის მიმართულებით; ისინი ისროდნენ დროგამოშვებით მთელი დღის განმავლობაში. ამასთან, იაპონელ-მანჯურელთა ცალკეული ჯგუფები რამდენჯერმე გადმოვიდნენ საზღვარზე, ცდილობდნენ ღრმად შემოჭრილიყვნენ საბჭოთა ტერიტორიაში, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. დალამების შემდეგ იაპონელ-მანჯურელებმა სროლა შესწყვიტეს.

გვიან საღამოთი იაპონელ-მანჯურელებმა ამ უბანზე თავი მოუყარეს ძალებს, დაახლოვებით ერთი ათასეულის რაოდენობით, კვლავ გადმოლახეს საზღვარი და, თავს დაესხნენ რა ჩვენს მესაზღვრე რაზმს, შემოვიდნენ ჩვენს ტერიტორიაზე ორნახევარ კილომეტრამდე. მაგრამ, ჩვენი დამხმარე ნაწილების მოსვლის შემდეგ იაპონელ-მანჯურელები იძულებული იყვნენ წასულიყვნენ ჩვენი ტერიტორიიდან. ორივე მხრით არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

აქ მიღებული ცნობებით, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა, რომელმაც მიიღო ცნობა იაპონელ-მანჯურელთა თავდასხმის შესახებ, იმავე საღამოს სასტიკი პროტესტი განუცხადა იაპონიის საელჩოს მოსკოვში.

ლენინაკანი.— ახალი სახლები კიროვის ქუჩაზე.

ისტორიული წარსულის გაყალბების წინააღმდეგ

თბილისის თეატრალურ მოღვაწეთა თათბირი.

25 ნოემბერს საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოში შესდგა თბილისის თეატრალურ მოღვაწეთა თათბირი, რომელმაც განიხილა ხელოვნების საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის დადგენილება დემიან ბედნის „დევგმირების" მოხსნის შესახებ მოსკოვის კამერული თეატრის სცენიდან.

თათბირს დაესწრნენ ამხ. გ. გუგუნავა, ა. ვასაძე, ა. ხორავა, ა. ჭყონია, დ. ანთაძე, ქ. შაჰ-აზიზოვი, გ. საკოევი, გ. ბუხნიკაშვილი, ა. მურაჩაშვილი, დ. ჯანელიძე, მსახიობები ს. ჯაფარიძე, ნ. სალარაძე და სხვ.

თათბირი გახსნა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ა. დუდუჩავამ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის დადგენილების მნიშვნელობა არა მარტო კამერული თეატრისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა თეატრისათვის.

— „დევგმირების" მოხსნას, — სთქვა ამხ. დუდუჩავამ, — უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამ მაგალითზე მტკიცდება, თუ როგორ არ უნდა ხდებოდეს ისტორიული წარსულის ათვისება. „დევგმირები" მოხსნილია კამერული თეატრიდან როგორც ხალხისათვის უცხო სპექტაკლი, რომელიც ამახინჯებს რუსეთის დიდი ხალხის ისტორიულ წარსულს.

საკავშირო კომიტეტის დადგენილებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ხელოვნების მუშაკებში. ამ დადგენილებას ყველგან თან სდევს შემოქმედებითი აღტკინება. აუცილებელია ჩვენც სათანადო დასკვნა გავაკეთოთ ამ დადგენილებიდან.

საქართველოშიც გვქონდა დადგმები, რომლებიც აყალბებდნენ ჩვენს ისტორიულ წარსულს. ასეთია, მაგალითად, „ლამარა", „ბახტრიონი", ნაწილობრივ „ყვარყვარე თუთაბერი". ასეთი იყო „არსენის" დადგმა განსვენებულ კ. მარჯანიშვილის მიერ მისი სახელობის თეატრში.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თეატრების განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ბოკერიამ აღნიშნა, რომ აუცილებელია გადაისინჯოს თბილისის თეატრების რეპერტუარი და განიდევნოს იქიდან ყველაფერი, რაც ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს. ასეთი დადგმები კი ჩვენ გვქონდა. ასეთი იყო, მაგალითად, „ლამარა" და „თეთნულდი" რუსთაველის თეატრში, „შამილა" მარჯანიშვილის თეატრში. ეს პიესა არ იძლევა სწორ წარმოდგენას მთიელების ბრძოლაზე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რუსთაველის თეატრის დირექტორმა ამხ. ტ. გუგუნავამ აღნიშნა, რომ თეატრებს საჭირო დასკვნა უნდა გამოეტანა იმ ფაქტებიდან, რაც რუსთაველის თეატრში მოხდა ძველი ხელმძღვანელობის დროს. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ადვილი იქნებოდა ა. თაიროვის შეცდომების გამომჟღავნება, რადგან თაიროვსა და ახმეტელს შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არსებობს.

ა. ჭყონია აღნიშნავს, რომ ზოგიერთი თეატრალური მოღვაწე დიდ გულმოდგინებას იჩენდა ისტორიული სინამდვილის დამახინჯებაში. თუ გადავხედავთ ოპერის თეატრის უკანასკნელი წლების დადგმებს, დავინახავთ, რომ მათში სისწორით არ არის ასახული ისტორიული წარსული. მაგალითად, „ქეთო და კოტეში" [illegible] კლასების წარმომადგენლები რაღაც მახინჯებად არიან გამოყვანილნი.

საკავშირო კომიტეტის დადგენილება ერთად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია. საჭიროა მისი ფართოდ დამუშავება ცალკე თეატრალურ კოლექტივებში.

ა. ვასაძე ამბობს, რომ მოსკოვის კამერულ თეატრში, ისევე როგორც წინათ რუსთაველის თეატრში, ჩახშობილი იყო თვითკრიტიკა, იქ გაბატონებული იყო რაღაც კორპორატიული კარჩაკეტილობა, თაიროვი გაურბოდა საბჭოთა საზოგადოებრიობას, მან ვერ გაიგო საბჭოთა თეატრის ამოცანები.

შეცდომები ისტორიული წარსულის ათვისებაში იყო საქართველოშიაც. ასეთ დადგმად მიმაჩნია მე „რაც გინახავს, ველარ ნახავ" მარჯანიშვილის თეატრში, „ლატავრა" და „ამირანი" ოპერის თეატრში. შეცდომები გვქონდა ჩვენც, რუსთაველის თეატრს. თაიროვის ლოზუნგი რიტმის შესახებ ძალიან ენათესავება ახმეტელის აზრებს, ისიც და ისიც რიტმზე აგებდნენ თავიანთ სპექტაკლებს.

შეცდომების მიჩქმალვაში მცირე როლი არ უთამაშნია კრიტიკას, რომელიც ზოგჯერ არასწორ შეფასებას აძლევს წარმოდგენებს, ან ხელაღებით უარყოფს მათ, ან კიდევ გაზვიადებულად აქებს. ამით მან დეზორგანიზაცია შეიტანა თეატრში.

დ. ანთაძე აღნიშნავს, რომ თაიროვს არა ერთხელ მიუთითეს შეცდომებზე, ის დაპირებას იძლეოდა რომ გამოასწორებდა მათ, მაგრამ ფაქტიურად ისევ ძველი გზით მიდიოდა. თაიროვმა ვერავითარი დასკვნა ვერ გააკეთა თავისთვის იმ დისკუსიიდან, რომელიც ფორმალიზმთან ბრძოლის საკითხზე სწარმოებდა.

აუცილებელია გადავსინჯოთ მთელი ჩვენი რეპერტუარი და განვდევნოთ იქიდან ყველაფერი, რაც ამახინჯებს სინამდვილეს, ამახინჯებს კლასიკოსებს.

გრიბოედოვის სახელობის თეატრის დირექტორი ამხ. შაჰ-აზიზოვი საჭიროდ სცნობს შეცდომების აღმოფხვრის მიზნით თეატრები უფრო მჭიდროდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ერთი თეატრის ხელმძღვანელი მუშაკები უნდა ესწრებოდნენ მეორე თეატრის გენერალურ რეპეტიციებს და მიუთითონ შეცდომებსა და დამახინჯებებზე თუ ასეთს შეამჩნევენ.

სომხური დრამის თეატრის დირექტორი ამხ. საკოევი აღნიშნავს, რომ კრიტიკა თუმცა საკმაოდ სწერს ჩვენს შესახებ, მაგრამ ამ ნაწერების ხარისხი არა დამაკმაყოფილებელია.

ა. ხორავა ხაზს უსვამს, რომ უხეში შეცდომები მოსდით უმთავრესად იმ თეატრებს, რომლებიც ჩამორჩენილი არიან პოლიტიკურად. ასე იყო რუსთაველის თეატრში, სადაც თვითკრიტიკას გასაქანი არ ჰქონდა. ამის გამო სპექტაკლებში ხშირად იპარებოდა მიუღებელი აზრები.

ასე დაემართა კამერულ თეატრსაც, სადაც ერთი კაცი განაგებს თეატრის ბედიღბალს და არაფერს ეკითხება კოლექტივს.

თვითკრიტიკა აუცილებელია. უამისოდ ჩვენ წინ ვერ წავწევთ თეატრის საქმეს.

თათბირზე გამოვიდა აგრეთვე სომხეთის პირველი სახელმწიფო თეატრის რეჟისორი ამხ. შარაზანიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ დამახინჯებებს ადგილი ჰქონდა სომხეთშიაც. აქტივი მიჩქმალული იყო თეატრში, მას არაფერს ეკითხებოდნენ.

დასასრულ გამოვიდა თბილისის სომხური დრამის წარმომადგენელი ამხ. აბარიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ ზოგჯერ თეატრებს და რეჟისორებს სურთ „მოდერნული" გაფორმებით დაფარონ ნაწარმოების იდეური სიღატაკე. ეს რასაკვირველია, საქმეს არ შველის, ასეთ ნაწარმოებებს თეატრში ხელი არ უნდა მოეკიდოს.

თათბირმა აუცილებლად სცნო საკავშირო კომიტეტის დადგენილება „დევგმირების" შესახებ დამუშავდეს ყველა თეატრში, მოეწყოს შემოქმედებითი დისკუსია კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების პრობლემებზე და ეთხოვოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მოიწვიოს თეატრალურ კრიტიკოსთა გაფართოებული თათბირი.

სასამართლო

გამფლანგველებს — დამსახურებული სასჯელი

27 ნოემბრის სხდომა მხარეთა კამათით გაიხსნა. თავის ვრცელ და შინაარსიან სიტყვაში სახელმწიფო ბრალმდებელმა, რესპუბლიკის პროკურორის უფროსმა თანაშემწემ ამხ. საკოევმა აღნიშნა, თუ რა [illegible] პირობებში იმყოფებიან კაპიტალისტებისა და ფაშიზმის მიერ დაჩაგრული [illegible], თუ რა მძიმედ [illegible] მათ. შემდეგ დაახასიათა რემდოსის მნიშვნელობა და ამოცანები.

— როდესაც [illegible] იწვევს ამ ტანჯულ ადამიანებში, საპყრობილეთა კედლებს შორის წამებულ თანამოაზრეებში ჩვენი ყურადღება! ამიტომ რემდოსის ყოველ კაპეიკს სამმაგ-ოთხმაგი მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს. მაგრამ [illegible] საქართველოს რემდოსის ძველი ხელმძღვანელობა ამას ფიქრობდა, როცა ორგანიზაციის ბედიღბალი [illegible] გაიძვერა ძოძუაშვილსა და კახიძეს მიანდო? ნაცვლად მუშაობის გაძლიერებისა, 1932 წლიდან მოყოლებული ორგანიზაციამ ნელ-ნელა უკან დაიხია, ბოლოს, ძველი ხელმძღვანელობის უმოქმედობამ, გულგრილობამ და უყურადღებობამ იგი დარღვევამდე მიიყვანა. ძოძუაშვილსაც ეს უნდოდა.

შემდეგ პროკურორი შეეხო კახიძისა და ძოძუაშვილის ბოროტმოქმედებების [illegible] მასალის [illegible] განხილვას.

— მათ გაფლანგეს, გაიტაცეს და მიითვისეს სხვადასხვა ყალბი, თაღლითური და ბოროტი გზით წმინდათა-წმინდა დანიშნულებისათვის დაგროვილი მშრომელთა ანარიცხები. პროკურორმა, თანახმად 1932 წლის 7/VIII კანონისა, კახიძის დახვრეტა მოითხოვა, ხოლო ძოძუაშვილისათვის ათი წლით პატიმრობის მისჯა.

სახელმწიფო ბრალმდებლის შემდეგ სიტყვა საზოგადოებრივ ბრალმდებელს — საკავშირო რემდოსის ც. კ-ის წევრს ამხ. დირიგს მიეცა.

— ამჟამინდელი საერთაშორისო მდგომარეობის ფონზე ეს პროცესი საბჭოთა საქართველოში მეტ ლაქად მოჩანს. სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი მილიონების ზრდამ კაპიტალისტთა რისხვა გამოიწვია. ფაშისტები სდევნიან მუშებს, აწამებენ ჩვენს ძმებს, პროლეტარიატის საუკეთესო შვილებს, ბარბაროსულად „უსწორდებიან" [illegible], სტანჯავენ, ხვრეტენ, თავს ჰკვეთენ.

ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთ ციხეში პატიმართა საწამებლად განსაკუთრებული [illegible] ბოლოს სავსე მილები, საიდანაც უწყვეტ მომწამვლელ გაზს იმ ვარაუდით, რომ პატიმარის ჯანმრთელობას სამუდამო დაღს დაასვამს, არავითარი წამება, არავითარი დევნა არ სტეხავს ჩვენი მოძმეების რევოლუციურ ნებისყოფას. ისინი იბრძვიან [illegible] კაპიტალისტთა, ფაშისტთა და მათ დამქაშთა წინააღმდეგ. ჩვენ ჰამბურგელი მუშის ფიტე ლუტგენის წინაშე თავს ვხრით, იმ წუთს, როცა ჯალათმა თავის გასაჩეხად ნაჯახი სასიკვდილოდ მოუღერა, მან დაიძახა: „გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!"

ვინ არის ამ ტანჯულთა ობლების და ქვრივთა პატრონი და დამხმარე? რემდოსი! რემდოსის ყოველი კაპეიკი მიზნობრივი და წმინდათა-წმინდა საქმის მოსამსახურეა. მაგრამ, საქართველოს რემდოსის ძველ ხელმძღვანელთა დაუდევრობამ და საქმისადმი ბიუროკრატიულმა მოპყრობამ აპარატს ეს შეგნება, რწმენა კი არ განუმტკიცა, არამედ შეარყია. [illegible] კულტურულ განუვითარებელ, [illegible] მუშაობისა [illegible] მიმართავდნენ.

დასასრულ ამხ. დირიგმა დაწვრილებით დაახასიათა ძოძუაშვილ-კახიძის დანაშაულებრივი მოქმედება და დასძინა: დაე, იცოდნენ მათ, ვინც გაბედავს და თავიანთ ბინძურ თათებს წმინდათა-წმინდა საბჭოთა სახსრებს [illegible], რომ მშრომელთა წინაშე უსასტიკეს პასუხს აგებენ. ამიტომ რემდოსის 14 მილიონი წევრის სახელით მოვითხოვ ბრალდებულ კახიძე-ძოძუაშვილის სამაგალითოდ დასჯას.

შემდეგ ილაპარაკეს სამოქალაქო ბრალმდებელმა ამხ. ბელიავსკიმ, ძოძუაშვილის დამცველებმა ტატიშვილმა, დადიანმა, კახიძის დამცველმა სახვლიძემ.

28 ნოემბერს — ბრალდებულთა საბოლოო სიტყვის შემდეგ — სასამართლო სათათბიროდ გავიდა.

დღის ბოლოს სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. კალანდაძემ გამოაცხადა განაჩენი: კახიძეს — დახვრეტა მისი პირადი ქონების კონფისკაციით, ძოძუაშვილს — ათი წლით თავისუფლების აღკვეთა შორეულ ბანაკში გადასახლებით, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლის ვადით ხმის უფლების აყრა.

მერი ბურდული

385.700 წყვილი ფეხსაცმელი

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის ფეხსაცმლის ფაბრიკებმა მეოთხე კვარტალისათვის მიიღეს ფეხსაცმლის გამოშვების გადიდებული გეგმა. მიმდინარე წლის მესამე კვარტალის გეგმით ფეხსაცმლის ოთხივე ფაბრიკას უნდა მოეცა 268.600 წყვილი ფეხსაცმელი, ხოლო მეოთხე კვარტალში იმავე ფაბრიკებმა უნდა გამოუშვან 385.700 წყვილი სხვადასხვა ასორტიმენტის ფეხსაცმელი. —

ოქტომბერში ფაბრიკებმა გადაჭარბებით შეასრულეს დავალება და მოგვცეს 136.100 წყვილი ფეხსაცმელი ანუ თვიური დავალების 107,6 პროცენტი. ოქტომბრის გეგმა ყველაზე წარმატებით შეასრულეს ქუთაისის ფაბრიკამ (თვიური გეგმის 119,5 პროცენტი), თბილისის პირველმა ფაბრიკამ (113,1 პროც.), და ბათომის ფაბრიკამ (109,9 პროცენტი). ჩამორჩა თბილისის მეორე ფაბრიკა, რომელმაც თვიური გეგმის შესრულებას 11,5 პროცენტი დააკლო.

◇ ◇ ◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

29 ნოემბერს აგიტატორთა კურსების (ყველა ჯგუფი) მეცადინეობა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კპ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ამხანაგი სტალინი, საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესწორებებისა და დამატებების შესახებ". დღის 12-დან 4 საათამდე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ახალი სტალინური კონსტიტუცია და მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცება". დღის 1-დან 4 საათამდე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია: „ამხანაგი სტალინი ახალი საბჭოთა კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ". დღის 1-დან 4 საათამდე.

ეროვნულის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საბჭოთა კავშირი — სრულუფლებიან ერთა ნებაყოფლობითი კავშირი". დღის 1-დან 4 საათამდე.

[illegible] კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სოციალიზმი და კომუნიზმი". საღამოს 8 საათზე.

○

— **სტალინის სახელობის პარტრაიკომი** წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს, 1 დეკემბერს გამოცხადდნენ რაიკომის კულტპროპგანყოფილებაში ამხ. ტიტლოვთან: ამხ. პ. ნაზაროვი, ა. აბაშიძე, ს. ნეფარიძე, ა. ტერიაშვილი, ა. ჩითაშვილი, ნ. ჩიტაიშვილი, ლ. ნაზიბაია, წამალაშვილი, პ. სილიბიანი, მანუკაძე, მახარაძე, მურტაზიანი, მ. ტაბიძე, კურტუხოვი, გ. აბრამიშვილი, გ. მამაიაზაროვი, ძელიტი, ი. დოხიშვილი, მაკარაშვილი, ალ. ჯულაყიძიშვილი, ა. ბოჭორიშვილი, ს. ბარკანიძე, შარაბიძე, ს. შენგელია, ე. არუთინოვი, მ. ხოჟიევა, ქორიძე, ა. ცერიხოვი, ს. სალუქვაძე, ი. ბოპალიძე, გაბისონია, ი. ტყემალაშვილი, ტოგონიძე, გ. ხუბულური, ნემსიწვერიძე და კოჭიშვილი.

○

— **დღეს, საღამოს 7 საათზე,** ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) მოწვეულია პროპაგანდისტთა სემინარის რიგგარეშე მეცადინეობა თემაზე: „ამხანაგ სტალინის მოხსენება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესახებ საბჭოების სრულიად საკავშირო მე-8 საგანგებო ყრილობაზე". პარტპოლიტწრეების ყველა პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა.

○

— **დღეს, საღამოს 7 საათზე,** 26 კომუნარის სახელობის რაიკომში გაიმართება ყველა ტიპის პოლიტწრეების პროპაგანდისტთა სემინარის მეცადინეობა „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ". ამხანაგ სტალინის მოხსენების ირგვლივ.

„კომუნისტის" მორიგი ნომერი გამოვა 1 დეკემბერს.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

29-XI	შემოდგომის აზნაურები
30-XI	პლატონ კრეჩეტი

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

29 XI წარ. № 44	ნინოშვილის გურია
30-XI წარ. № 45	მზის დაბნელება საქართველოში

სახცირკი
ტელ. 3-11-44
30/XI დღისით 2 წარ. ზოლლოს ხარის დასაწყ. 12 და 2 ს.

დღეს 29 ნოემბერს
დიდი საცირკო წარმ.
3 განყოფილებად
პროგრამაში: მე-2 ციკლი ჭიდაობა ლი-ბუვარა
მ ზოლლო
თავისი ოთხფეხი არტისტებით.
[illegible] არტისტთა და ახალ გასტროლიორთა გამოსვლ.
დასაწყ. 8 ს. 30 წ.
სალარო 12-2 ს. და 5 ს-დან.

დღეს საკინოთეატრებში

ოქტომბერი 6-30 8-30, 10-30	ჩარლი ჩაპლინის ხმოვან სურათი ახალი დროება
დამკვრელი 6-45, 8-45, 10-45	ახალი ხმოვ. ფილმი გამარჯვებულთა თაობა
კომკავშირი რიკი 6, 10,8,9-10,11	ხმოვანი კომედია ქალიშვილს ჰაემანზე მიეჩქარება
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-4, 8 45, 10-4	ფერადი ხმ. ფილმი გრუნია კორნაკოვა
26 კომ. სახ. 6 30, 8-30 10-30	მხატვრული ფილმი წითელი ეშმაკუნები
ახალი ამბები	ესპანეთის ამბები მე-7 და მე-8 გამოშვება, ხმოვანი ჟურნალი № 50.

არტელი „კუსგრომი"
იმყოფება აჭარ-სარეწაო კავშირის გამგებლობაში, რეგისტრირებულია ბათომის ქალაქის ფინგანში 1933 წ. ივლისის 19, № 14. საქმიანობის საგანი: ავეჯის, ტრიკოტაჟის, ტყავების, ფეხსაცმლის წარმოება, ფეხსაცმლის შეკეთება, საათის შეკეთება, [illegible] შეკეთება, [illegible]. საანგარიშო ანგარიში № 105—6 სახბანკის აჭარის განყოფილებაში. მისამართი: ბათომი, ორჯონიკიძის ქ. № 23, ტელ. № 28.
თავმჯდომარე არზუმანიანი.
მთ. ბუღალტ. ანტონიადი.
1065

სახცირკი 29 ნოემბერს, საღ. 11 ს. 30 წ. ჩვეულებრივი, მორიგი საღამოს წარმოდგენის შემდეგ გაიმართება გრანდიოზული ღამის წარმოდგენა და კონცერტ-ბალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ყველა თეატრების სცენის გამოჩენილი ოსტატები და საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატები. წარმოდგენის შემდეგ ცირკის მანეჟში, იატაკზე დილამდის ცეკვა ჯაზით, კონფეტი, სერპანტინი, ყვავილები, თამაშობანი, მუზიკის 3 ორკესტრი. ბუფეტი.
მთელი შემოსავალი გადაეცემა ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დახმარების ფონდში.
პროგრამას ხელმძღვანელობს გრიბოედოვის სახ. თეატრის მსახიობი ვლ. დავ. ბრაგინი. დასაწყისი საღ. 11 ს. 30 წ.
23 ნოემბრისათვის შეძენილი ბილეთები ვარგა 29 ნოემბერს. 300 2-2

არტელ „ხოზპრომის" ლიკვიდაციასთან დაკავშირებით
მოხდება არტელის კუთვნილი ქონების (სპილენძის ქვაბები), მასალების (შაქარი, პატოკა, ჯემი და სხვა) და ინვენტარის
საჯარო გაყიდვა.
საჯარო გაყიდვა შედგება 5 დეკემბერს 11 საათიდან 6 საათამდე, კომუნალური ქ. № 10, ხოლო თუ ამ დღისათვის არ შესდგა, შემდეგ შესდგება 7 დეკემბერს. წინასწარი პირობების გაცნობა შეიძლება ყოველდღე, კომუნალური ქ. № 10.
16585 ლიკვიდკომი.

მიიღება ხელისმოწერა
საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
„კომუნისტის"
ყველა გამოცემებზე 1937 წლისათვის.
გაზეთები
კომუნისტი — ყოველდღიური.
ახალგაზრდა კომუნისტი — „
ნორჩი ლენინელი — ექვსდღიური.
ჟურნალები
ბოლშევიკი — ყოველთვიური.
პარტიული მშენებლობა — თვეში ორჯერ.
ახალგაზრდა ბოლშევიკი — ყოველთვიური.
მშრომელი ქალი — ყოველთვიური.
საბავშვო ჟურნალები
ოქტომბრელი — ყოველთვიური.
პიონერი — „
ხელისმოწერა უნდა ჩაბარდეს „სოიუზპეჩატს", ფოსტას, წერილების მტარებლებს, ხელისმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობათა გაზეთების გამომცემლობებს ტრანსპორტზე.
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტი".

საქ. ტრესტს „საქართველოს ჩაი"-ს
სჭირდება რაიონში სამუშევრათ:
1. ჩაქვის ჩაის ქარხანაზე — უფროსი ბუღალტერი.
2. გაგრის დასასვენებელ სახლის მშენებლობაზე — უფრ. ბუღალტერი და 5 კარგი კვალიფიკაციის ბუღალტერი დროებით სამუშევრებზე რაიონში.
ქართული ენის ცოდნა აუცილებლად საჭიროა.
საჭიროა წარმოადგინონ [illegible] განთავისუფლების ცნობა.
პირობები შეთანხმებით.
მიმართეთ შემდეგი მისამართით რუსთაველის გამზირი № 25, მეორე სართული, მთავარ ბუღალტერს. 21 707-2

სამტრესტის ღვინმრეწვაჭრობა
აცხადებს სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების საყურადღებოდ,
რომ განაცხადი მათთვის 1937 წ. საჭირო რაოდენობის ღვინოზე, კონიაკსა და არყის ნაწარმზე წარმოდგენილ უნდა იქნას არაუგვიანეს ა-წ. 5 დეკემბრისა.
განაცხადის წარმოდგენა შეიძლება როგორც წერილობით, ისე ტელეგრაფით.
მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი, № 12.
2-4 16578 ღვინმრეწვაჭრობა.

სრულიად საქართველოს „სარეწაო კავშირის" სისტემის ამხ. ვოროშილოვის სახ. არტელის დასკვნითი ბალანსი

აქტივი 1936 წ. 1 იანვრისათვის პასივი

№ რიგზე	მუხლების დასახელება	თანხა	№ რიგზე	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	221.748—39	1	ფონდები	88.095—54
2	საწარმოო მარაგები	99.856—77	2	მიზნობრივი რეზერვები	9.790——
3	ფულადი საშუალებანი	294—47	3	გრძელვადიანი კრედიტები	107.002—52
4	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	74.195—81	4	მოკლევადიანი კრედიტები	230.088——
5	განკენებული საშუალებანი	8.145—40	5	ანგარიშსწორებანი	133.145—08
6	დანაკარგები	163.876—75			
	ბალანსი	568.121—09		ბალანსი	568.121—09

არტელის თავ-რე: როჟკოვი. მთავ. ბუღალტერი: დადიანი.
დამტკიცებულია „სარეწაო კავშირის" საბალანსო კომისიის მიერ. 1633

ბალანსი

საქ. ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატის, ამხ. მოლოტოვის სახელობის ტფილისის საავეჯო ფაბრიკისა 1936 წლის 1 იანვრისათვის და მისი შედარება 1935 წლის 1 იანვრის ბალანსის მონაცემებთან.

აქტივი	1935 წლის 1 იანვრისათვის	1936 წლის 1 იანვრისათვის	პასივი	1935 წლის 1 იანვრისათვის	1936 წლის 1 იანვრისათვის
1. ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობის:			1. საწესდებო ფონდი	1081440—56	1129043—49
ა) ძირითადი საშუალებანი მოქმედი	789155—51	783812—24	2. საამორტიზაციო ფონდი	20110—61	40805—85
ბ) ძირითადი საშუალებანი უმოქმედო	3[illegible]37—41	11290—47	3. სპეცფონდები	19813—91	43584—12
სულ	792492—92	795102—71	4. რეზერვები	2900—53	—
2. ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო და მომსახურებითი მნიშვნელობით	43628—77	46437—88	5. გრძელვადიანი კრედიტები	24[illegible]20——	—
3. საწარმოო მარაგი საწყობში და გზაში	139[illegible]68—60	230188—49	6. გადახდა საგეგმო ფასებიდან საწყობში მყოფ მასალებზე	—	19201—90
4. დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრ.	71750—58	112[illegible]70—73	7. კრედიტორები	80213—09	129186 25
5. საქონელი და მზა ნაწარმი საწყობში, გზაში	2[illegible]589—49	5[illegible]674—27	8. შედეგი:		
გადაგზავნილი და სარეალიზაციოდ გამოყოფილი	108[illegible]5—74	—	ა) მოგება საანგარიშო წლამდე	—	—
ფასეულობანი	5478—48	1[illegible]555—73	ბ) მოგება საანგარიშო წლისა	—	73692—41
6. ფულადი საშუალებანი	59645—23	137716—76			
7. დებიტორები	2[illegible]326—00	33648—77			
8. მომავალი პერიოდის ხარჯები	8[illegible]57—75	12134—57			
9. გამოყოფილი საშუალებანი	4[illegible]560—98	5874—22			
ბალანსი	1229203—70	1435903—52	ბალანსი	1229203—70	1435903—52

დირექტორი ი. ა. ბუჩიაშვილი. მთ. ბუღალტერი ე. ლ. კირვალიძე.
ბალანსი განხილულია საქ. ადგ. მრეწვ. კომისარიატის სპეც. კომისიაში, დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის კომისრის მიერ და ხელმოწერილია გამოსაქვეყნებლად.
საქ. ადგ. მრეწვ. სახ. კომ. მთ. ბუღალტერის მაგიერ გალუსტოვი.
1537

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40, მშრომელთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კიროვის ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ც—5558